# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 5 ივნისი, 2015 წელი.

№102 (7747)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.




## როგორ ამშვიდებდა ბუში სააკაშვილს და რა ჩამოიტანა ამერიკულმა სამხედრო გემმა ბათუმში? 5

აპირებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და თუ აპირებს, როგორ?

## გაიღიმე, პატარავ, „იავნანა“ დაგეხმარება! 9





## კაპარჩხანა ირმას პოლიტიკური „ნანადირევი“ 3

რა ვიცით სკანდალისტი დეპუტატის ცხოვრების დეტალებზე

## ყვარლის მიშასეულ სახლს შოშიაშვილები შეესივნენ!

საკუთრება საკუთრების წილ!!! 4





## შალვა ამონაშვილი სიყვარულის კუნთების, ინდიგოს შვილებისა და ოჯახური საიდუმლოებების შესახებ 8

# გულახდილი ივანიშვილი

## რატომ არ დააკავეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი?



საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა სთხოვა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე არ დაეკავებინათ და ეს თხოვნა გაითვალისწინა.

როგორც ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის მხრიდან ეს თხოვნა პირად შეხვედრაზე დაფიქსირდა და მისი პოზიცია იყო, რომ რაც „მისი პირადია“, შეუძლია, აპატიოს.

**„ქართუ ბანკის“ საკითხი პირადი იყო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმაც იცოდნენ, რომ მან კანონი დაარღვია, ის კი არ უთქვამთ, დასაჭერი არ არისო. ჩვენ ვიცით, რომ ის დასაჭერია, მაგრამ იქნება აპატიოთო. მეც ვუთხარი, რომ რაც პირადულია, შემიძლია გავაკეთო და პროკურატურაში განცხადების მსვლელობა შევაჩერე, რაზეც ჯავახიშვილი ძალიან განაწყენდა, მაგრამ ვინც მთხოვა, იმასაც და თვითონ გიორგი ქადაგიძესაც განვუმარტე, რომ სახელმწიფოს წინაშე თუ აქვს დარღვევა ჩადენილი, მე ხელს ვერ დავაფარებდი“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

კითხვაზე, ნიშნავს თუ არა ეს, რომ პროკურატურაზე მაღლა დადგა, ივანიშვილი აცხადებს, რომ არა, ვინაიდან საქმე მის პირად ზარალს ეხებოდა, ხოლო საერთო ქონებასთან დაკავშირებით ხელს არავის დააფარებდა.

## მაჟორიტარული სისტემის შეცვლის მომხრე

როგორც ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, თავისი პოზიცია აქვს და იაქტიურებს, რათა არსებული სისტემა არ დარჩეს.

**„მე როგორც ვიცი, მმართველი გუნდი უახლოეს დღეებში მიიღებს გადაწყვეტილებას. მეც მომხრე ვარ, რომ ეს სისტემა აუცილებლად უნდა შეიცვალოს. რა დონის და როგორი ტემპებით მოხდება ეს ცვლილება, გავყვეთ მოვლენებს და ვნახავთ“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

## ჩემი ქონება ჩემს ქვეყანას ეკუთვნის

ასე გამოეხმაურა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომ „ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილს ქონებას დააბრუნებინებს“.

**„მე რამდენჯერმე განვაცხადე, რომ ჩემი ხარჯების 90% არის საზოგადოებისთვის გაწეული ხარჯები, ასევე მაქვს ნათქვამი დანარჩენ ქონებაზე. სააკაშვილის განცხადებები არასერიოზულია — თითქოს „ქართუ ბანკში“ გადავიდა სახელმწიფო ანგარიშები, რომ დაახლოებით იმდენივე ფული ვიშოვე პრივატიზაციიდან. ეს იმდენად არასერიოზულია, რომ მე მგონი, გამეორებაც სასაცილოა. იგი საერთოდ მოწყვეტილია რეალობას. პოლიტიკოსი, რომელიც ასე არ უფრთხილდება საკუთარ გამონათქვამებს, ნათელაშვილის ტოლფასია“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

## აბა, წამლები იაფად! 7

გვაბოლებენ, ხალხოო, გვაბოლებენ...

# სამართლიანობის აღდგენა დაწყებულია და ბოლომდე მივა

**„დღეს ვიმსჯელეთ კონკრეტული პირებისთვის იძულებით ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნების საკითხზე. ამ კუთხით ინტენსიურად იმუშავა მთავრობამ და პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა და დღეიდან უკვე დავიწყებთ ქონების უკან დაბრუნების საკითხის განხილვას.** როგორც ვიცი, რამდენიმე ავტომობილის დაბრუნებაზეა საუბარი. რა თქმა უნდა, ეს ვერ შეეხება წინა წლების განმავლობაში წინამორბედი ხელისუფლების დროს დაზარალებულ ყველა ადამიანს, თუმცა, პროცესი დაწყებულია და ის მაქსიმალურად უნდა დავაჩქაროთ. სა-



მართლიანობის აღდგენის მიმართულებით ჩვენ, რა თქმა უნდა, უნდა გავაქტიურდეთ და კარგია, რომ პროკურატურაში შექმნილი ახალი დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს“, — განაცხადა ღარიბაშვილმა გუშინდელ მთავრობის სხდომაზე.

* * *

**პრემიერი დევნილების შესახებ გაეროს რეზოლუციას ქართული დიპლომატიის გამარჯვებად აფასებს.**

ასე გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი გაეროს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიაზე „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ რეზოლუციის მიღებას. როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, გაეროს 69-ე სესიაზე მხარდამჭერთა უპრეცედენტო რაოდენობა დაფიქსირდა.

„75 სახელმწიფომ მხარი დაუჭირა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხს. ეს არის უმნიშვნელოვანესი და უპერეცედენტო დახმარება და მხარდაჭერის გამოხატულება ჩვენი სახელმწიფოსთვის. ეს არის ქართული დიპლომატიის გამარჯვებაც, იმიტომ რომ ძალიან კარგად იმუშავა საგარეო უწყებამ, რომ დაგვერწმუნებინა ის სკეპტიკური სახელმწიფოები, რომლებიც მანამდე არ უჭერდნენ მხარს ამ რეზოლუციას. ასე რომ, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის სწორი მიმართულება, რითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ და ვმუშაობთ“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

* * *

**პრემიერმა კვირიკაშვილს კაპიტალური ხარჯების კოორდინაცია დაავალა.**

„მინდა, ბატონ გიორგის ვუთხრა, როგორც ვიცე-პრემიერს და ეკონომიკური გუნდის კოორდინატორს, რომ ხარჯვით ნაწილს გაუწიოს კოორდინაცია. ძალიან მკაცრად უნდა გავაკონტროლოთ თითოეული სამინისტროს ხარჯები და არა მარტო სამინისტროების, არამედ რაიონების. თუ რომელიმე რაიონს აქვს ჩამორჩენა, უნდა ჩავეძიოთ ბოლომდე, რატომ მოხდა ეს, რის გამო და მივიღოთ შესაბამისი ზომები“, — მიმართა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე გიორგი კვირიკაშვილს.

ამასთან, პრემიერმა ფინანსთა მინისტრსაც მოუწოდა, აღარ მოხდეს თანხების გამოყოფა იმ რაიონებისთვის, რომლებიც უკვე არსებული ფინანსების ათვისებას ვერ ახდენენ.



# როცა ხალხს ასე უყვარხარ, წლები რა მოსატანია

**სულ** ერთი თვეა, ჩვენი რედაქცია თბილისის ძირძველ უბანში, სოლოლაკში გადმოვიდა, მაჩაბლის ქ. №7-ში. შესანიშნავი სამეზობლო და, რა თქმა უნდა, მათ შორის ბატონი კახი. ჩვენი ლეგენდარული მსახიობი, ქართული სცენისა და კინოს ვარსკვლავი... ყოველი დილა კეთილი სალმითა და საღამო-დაისი ღიმილიანი დამშვიდობებით იწყება. ისევ ისეთივე მხნე, ღიმილიანი და სალმიანია ბატონი კახი. ბოლომდე დალხინებულად არც თვითონ გახლავთ, როგორც მის თანამემამულეთა უმეტესობა, მაგრამ მაინც მოგიკითხავს, იმედს ჩაგისახავს, ანეკდოტს მოგიყვება, კარგ ხასიათზე დაგაყენებს და შემდეგ ნელა გაუყვება გზას თეატრისკენ.

ბატონ კახი კავსაძეს დღეს 80 წელი უსრულდება. ბევრია? ნახეთ, შეხვდით, გაესაუბრეთ და თავად დარწმუნდებით წლებს მისთვის ვერაფერი დაუკლია, მხოლოდ დღეების ათვლაა ასეთი ადამიანისთვის ეს წლები...

კახი მთელ საქართველოს უყვარს. როცა ასეთი სიყვარულია, რა დაგაბერებს!..

გილოცავთ, ბატონო კახი, ღმერთმა გახაროთ, გაბედნიეროთ და სამშობლო დაგიმშვიდოთ, საყვარელი ხალხი და პირადად თქვენი გულშემატკივარი მაყურებელი ბედნიერი გიმყოფოთ!

**სიყვარულითა და კეთილი სურვილებით**
**„საქართველოს რესპუბლიკელები“**

# პოროშენკო ზღულაძეთი მოიხიბლა

**უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ქვეყნის პოლიციის ხელმძღვანელის პოსტზე უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ეკა ზღულაძეს ხედავს. ამის შესახებ „უნიანის“ ცნობით, პოროშენკომ უმაღლეს რადაში სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა.**

„ახალი საპატრულო სამსახური, რომლის შექმნაშიც ეკა ზღულაძე იყო ჩართული, უკვე რამდენიმე კვირაში დაასრულებს გზებზე ფულის ლეგენდარული აღების ტრადიციას. დაწყებულია კანონების მიღება და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების პროცესი. ერთმანეთისგან გამოიყოფა ძალოვანი სტრუქტურის პოლიტიკური ფუნქციები, შეიქმნება მუნიციპალური სამსახური და ახალი პოლიცია. მის მომავალ ხელმძღვანელად მე ვხედავ ზღულაძეს“, — განაცხადა პოროშენკომ.

ეკა ზღულაძე უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ გასული წლის ბოლოს დაინიშნა.

**◎ თვითონ მოიტეხს კისერს**

# სააკაშვილის საბედისწერო არჩევანი?

**შეთქმულების თეორიას რომ ვაღიარებდე, უსათუოდ თბილისისა და კიევის ფარულ პოლიტიკურ გარიგებას მივაწერდი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ოდესის გუბერნატორად დანიშვნას, რაც, კაცმა რომ თქვას, საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში მიხეილ სააკაშვილის განეიტრალებას ნიშნავს.**

**პირველ ყოვლისა, ოდესის ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტზე სააკაშვილის მოულოდნელი დანიშვნით წერტილი დაესვა იმ მითქმა-მოთქმას, თითქოს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი უკრაინას იყენებდა პლაცდარმად საქართველოში ვითარების ასარევად და დესტაბილიზაციის ტალღაზე ქვეყნის სათავეში დასაბრუნებლად.**

უკრაინის მოქალაქეობის მიღებისა და, უფრო მეტად, ოდესის ადმინისტრაციაში საქმეების გადაბარების შემდეგ, სააკაშვილს არც დრო ექნება და აღარც უფლება, საქართველოს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ჩაერიოს ან თუნდაც მხოლოდ გამოთქვას ისეთი არადიპლომატიური და მკვახე შეფასებები, როგორიც ბოლოს 26 მაისის აღლუმთან დაკავშირებით, კიევიდან ტელეხიდის დროს გააკეთა.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ განცხადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, უკრაინის პრეზიდენტმა საქართველოს ხელისუფლებას ოსტატურად ჩამოაშორა მისი მთავარი პოლიტიკური ოპონენტი. მეტიც, პეტრო პოროშენკომ, რომელიც უკმაყოფილოა მის ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ტემპით, საბედისწერო არჩევნის წინაშე დააყენა თავისი სტუდენტობის მეგობარი: თუ ოდესაში ხელი მოეცარა, მაშინ სააკაშვილის სახელი სამუდამოდ ჩაბარდება ისტორიას. საქართველოში რაიმე პოლიტიკურ თანამდებობაზე დაბრუნებაზე ფიქრი სააკაშვილისთვის მაშინაც დაკარგავს აზრს, თუ მან ოდესაში ივარგა: ალაგმა კლანური მმართველობა, გაატარა სასიცოცხლოდ აუცილებელი რეფორმები, დაამყარა წესრიგი და მოიზიდა უცხოური ინვესტიციები.

ასეთ შემთხვევაში, ოდესის გუბერნატორს თავად უკრაინის პოლიტიკური ელიტა მოსთხოვს, მიღწეული არ იკმაროს და წარმატებული მაგალითი ახლა მთელ უკრაინაზე გაავრცელოს. შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილს გზა გაეხსნება უკრაინის პოლიტიკური ოლიმპისკენ და არ არის გამორიცხული, რომ მან პრემიერ-მინისტრის სავარძელიც დაიკავოს ფართომასშტაბიანი რეფორმების მთელ ქვეყანაში გატარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, სააკაშვილი კიდევ უფრო დაშორდება საქართველოს და მთლიანად გადაერთვება უკრაინის საქმეებზე.

არადა, უკრაინაში საქმე კარგად ვერ მიდის. აშშ და კიევის ევროპელი მოკავშირეები თვლიან, რომ უკრაინას პრორუსულ სეპარატიზმზე არანაკლებ საფრთხეს უქადის ამ ქვეყანაში ფესვგადგმული კორუფცია, ოლიგარქების გავლენა, დემოკრატიული და არჩევითი ინსტიტუტების სისუსტე და ეკონომიკური დესტაბილიზაცია.

პრინციპში, ეს სწორედ ისაა, რისკენაც მიხეილ სააკაშვილიც მოუწოდებდა უკრაინის ხელისუფლებას; მეტიც, არა მხოლოდ მოუწოდებდა, არამედ ყველა ტრიბუნიდან დაუფარავად საყვედურობდა მას ყოყმანისა და პოლიტიკური ნების უქონლობის გამო.

თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, რომ უკრაინაში ჯერჯერობით არც მიხეილ სააკაშვილის კადრებს გამოუჩენიათ თავი. ჩემი კიეველი კოლეგები, რომლებიც სულ რამდენიმე თვის წინათ აღტაცებით შეხვდნენ უკრაინის ხელისუფლებაში „ქართველი რეფორმისტების“ მისვლას, დღეს იმედგაცრუებული არიან. თუმცა, საქართველოსადმი პატივისცემის გამო, ცდილობენ, უაღრესად კორუმპირებული ლანდშაფტითა და პოლიტიკური კლანების შიდა ბრძოლით ახსნან ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ალექსანდრე კვიტაშვილის, გენერალური პროკურორის მოადგილის დავით საყვარელიძისა თუ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ეკა ზღულაძის მიერ წამოწყებული რეფორმების დამუხრუჭება.

ამიტომ ოდესის გუბერნატორის სავარძლის დაკავებით, მიხეილ სააკაშვილმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, გადაარჩინოს თავისი გუნდის იმიჯი და თუნდაც ერთი ოლქის მაგალითზე აჩვენოს, რომ რეფორმები უკრაინაში შესაძლებელია. „საცოდაობაა იმის ყურება, რას დაამსგავსეს რეგიონი, გზები და ა.შ. მაგრამ ათწლეულობით დანგრეულის ერთ-ორ თვეში აღდგენა შეუძლებელია. ყველა მაფრთხილებდა, რომ ეს უკიდურესად სარისკო საქმეა, რომ აქ ყაჩაღობაა, რომ კისერს მოვიტეხავ... ამიტომაც დავთანხმდი“, — განუცხადა ჟურნალისტებს ოდესის ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციის ახალმა ხელმძღვანელმა მიხეილ სააკაშვილმა.



ვფიქრობ, სააკაშვილს ოდესაში მართლაც უფრო დიდი შანსი აქვს, თავად „მოიტეხოს კისერი“, ვიდრე კისერი მოუგრიხოს იქ მოქმედი ოლიგარქიული კლანების წარმომადგენლებსა თუ პოლიტიკურ მაფიას. მით უფრო, რომ სააკაშვილს ოდესაში არ ექნება განუსაზღვრელი უფლებები, არ ეყოლება მორჩილი წარმომადგენლობითი ორგანო, პროკურატურა და პოლიცია, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტობის განმავლობაში იოლად იშორებდა გზიდან მისთვის მიუღებელ „ანტირეფორმისტულ“ და „ანტიდასავლურ“ ძალებს და სამისოდ არ ერიდებოდა თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა თუ ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გათელვას.

საქართველოსგან განსხვავებით, სადაც სააკაშვილი მძლავრი საინფორმაციო მხარდაჭერითაც სარგებლობდა, უკრაინაში ოდესის ახალ გუბერნატორს, სხვა სირთულეებთან ერთად, საქმიანობა უშეღავათო და პოლიტიკური სიმპათიების მხრივ მეტად პოლარიზებულ მედიაგარემოში მოუწევს.

ამგვარად, ერთგვარად შიშისმომგვრელიც კია ფიქრი იმაზე, თუ როგორ გაართმევს თავს ამ რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ოლქის მართვას მიხეილ სააკაშვილი, კაცი, რომელიც თავისი ბრძანებების უსიტყვოდ შესრულებას მიჩვეული ავტოკრატი უფროა, ვიდრე კომპრომისებისთვის მზად მყოფი, პოლიტიკურად მოქნილი და ფრთხილი დემოკრატი.

**კობა ლიკლიკაძე**
**რადიო „თავისუფლება“**



# კაპარჭხანა ირმას პოლიტიკური „ნანადირევი“

## რა ვიცით სკანდალისტი დეპუტატის ცხოვრების დეტალებზე

**სკანდალისტ პოლიტიკოს ქალებს შორის საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი ირმა ნადირაშვილი ლიდერობს. ყველაზე საინტერესო ხმაურიანი განცხადებები მის გარშემო ამ ბოლო დროს პირად ცხოვრებას დაუკავშირდა. ირმა ნადირაშვილი მეორედ გათხოვდა. მასსა და მის მეწყვილეს სასტუმროში გადაღებული ფოტოებიც გაუვრცელეს. ერთ-ერთი სააგენტოს ინფორმაციით, ირმა ნადირაშვილი, მეუღლეს — ჩუღურეთის რაიონის ყოფილ გამგებელს, გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაცვის ერთ-ერთ წევრს დათო დალელიშვილს გაშორდა, ხოლო მისი ახალი გატაცება ჟურნალ „ფორბსის“ ქართულენოვანი გამოცემის რედაქტორი გიო სულხანიშვილი, იგივე „სუხო“ გახდა. ისინი ყველასთვის მოულოდნელად ყაზბეგში გაიპარნენ და ჯვარიც დაიწერეს. თაფლობის რამდენიმე დღე კი გუდაურში გაატარეს. დეპუტატი ცდილობდა, საგულდაგულოდ დაემალა ეს ამბავი, მაგრამ მისმა მეგობრებმა „არ დაინდეს“ და „კაპიშონიანი“ ირმას სურათები სოციალურ ქსელში გაავრცელეს...**

ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ პოლიტიკოს ქალბატონს საიდუმლოებები არ მოსწონს, განსაკუთრებით სხვისი — თუ ვინმე რამეს მალავს, და ეს ირმამ გაიგო, აუცილებლად გაასაჯაროებს, მაგრამ მისი ცხოვრებაც რომ ბევრ საინტერესო დეტალს ინახავს?! და ჩვენც გზადაგზა გავიხსენოთ... დავიწყოთ, სულ ცინცხალი ამბით. ირმა ნადირაშვილი თანაგუნდელების მიერ პარტიის დატოვებას „ფეისბუქში“ გამოეხმაურა. მან ზურაბ ჯაფარიძესთან ერთად გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა წარწერით — „ელექტროშოკი“. ფოტო აზერბაიჯანის აეროპორტში 2014 წლის 19 ივნისს არის გადაღებული, როცა ის და ჯაფარიძე აზერბაიჯანიდან ელექტროშოკური აპარატებისა და დიდი ოდენობით თანხის შემოტანის ბრალდებით დააკავეს. ვინ იყო ამ საქმეში მართალი, დღემდე საიდუმლოდ რჩება. ყოფილი ჟურნალისტი თავს იმართლებს და ყველაფერს „ჰაკიმ ფაშას“ (როგორც პრემიერ ღარიბაშვილს მოიხსენიებს ხოლმე) აბრალებს, ოღონდ ავიწყდება, რომ თავადაც არანაკლები „ჰაკიმ ფაშაა“, მუდმივად სკანდალსა და იდუმალებაში გახვეული.

უმცირესობის წარმომადგენელი დეპუტატი თუ ვინმეს ამხელს, მთავრობაა, პრემიერ-მინისტრი თავისი ახლობლებითა და გარემოცვით, ნეპოტიზმი და კორუფცია თითქოსდა ირმა ნადირაშვილისთვის მიუღებელია, მაგრამ ავიწყდება თავისი „ზეობის“ პერიოდში ნაციონალები, მას როგორც „ვარდების რევოლუციის“ მონაწილეს, ვარდივით ხელით რომ ატარებდნენ... **„გაბრწყინებული და მოჭიმული სახე ამ სიტუაციაში არ არის ადეკვატური“, — ასე გამოეხმაურა ის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას ნაციონალური მოძრაობის დაშლის თაობაზე, მაგრამ, ჩემი აზრით, „გაბრწყინებული და მოჭიმული სახე“ არც მაშინ იყო „ადეკვატური“, როცა სააკაშვილის მმართველობით ცხოვრების ბედგამრუდებული ხალხი სამართალს ნატრობდა, ნადირაშვილი კი პრეზიდენტის მდიდრულ სასახლეში „მოჭიმული“ იერით დადიოდა.**

45 წლის დეპუტატის პროფესიული გზა ასეთია: აღმოსავლეთმცოდნე, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტი, ნავთობისა და გაზის სააგენტოს უფროსის მოადგილე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, გადაცემა „პოსტ სკრიპტუმის“ მთავარი პროდიუსერი, შემდეგ „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, დეპუტატი.

**სწორედ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობის პერიოდში ირმა ნადირაშვილი არასამთავრობო ორგანიზაცია „ნალას“ პრეზიდენტის მრჩეველიც ყოფილა. რაც იმას ნიშნავს, რომ საჯარო მოხელის შესახებ კანონს ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე წლების განმავლობაში არღვევდა. საჯარო მოხელეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემოქმედებითი სამსახურის გარდა, აკრძალული აქვს სხვა ყველა ანაზღაურებადი სამუშაო.** „ამ შემთხვევაში საქმე ინტერესთა კონფლიქტს ეხება, რომლის შესახებაც ის ვალდებული იყო, განეცხადებინა. მან არ განაცხადა, რაც კანონის მოთხოვნათა დარღვევაა. ჩვენი კანონი საჯარო მოხელის შესახებ იმდენად უხერხემლო და არაფრის მაქნისია, რომ კანონის დარღვევის შემთხვევაში არანაირი სანქცია არ ეკისრება“, — ამბობს იურისტი ლია მუხაშავრია. ჰოდა, ჩვენმა ირმამაც „დაიკიდა“.

ირმა ნადირაშვილი დაუნდობელია, როცა საქმე მაღალი თანამდებობის პირების უფლებების გადამეტებას, პრემიებს ეხება. „დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის ჩვენი მატყუარა ხელისუფლების მორიგი ტყუილი, თითქოს დაარეგულირეს პრემიების საკითხი, მაგრამ ამ დადგენილებაში არაფერი არ არის ნათქვამი დანამატებზე. საქმე გვაქვს ისევ ჰაკიმ ფაშას არითმეტიკასთან, სულ ერთია, რას დაარქმევენ: დანამატს თუ პრემიას? ის, რომ არ უნდა აიღო 40 000 თვეში, ამას არ სჭირდება გერმანული კონსულტანტის ჩამოყვანა“. მის ამ ნათქვამს დაეჯერებოდა, რომ არა ნადირაშვილის წარსული. ორგანიზაცია IDFI-მ გაასაჯაროვა ინფორმაცია, საიდანაც ირკვევა, რომ როგორც მიხეილ სააკაშვილის რეზიდენციის ერთ-ერთი თანამშრომელი, ირმა ნადირაშვილი 300-პროცენტიან პრემიებს იღებდა.

ნაციონალური მოძრაობის წევრი მთავრობას კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებს. ხან ტენდერების თემას ამოქექავს, ხანაც პრემიებისა, ხან მაღალჩინოსანთა ნათესავ-მეგობრებს დაერევა... მაგრამ გვახსოვს ეს კაპასი დედაკაცი, როგორ დაადანაშაულა კულტურის პალატის პრეზიდენტმა დათო ოქიტაშვილმა უფლებების გადამეტებაში: **„თუ ვის უნდა მიეღო მონაწილეობა ამა თუ იმ კონცერტში, წლების განმავლობაში მომღერლების სიას ირმა ნადირაშვილი ადგენდა“,** — ამბობს ოქიტაშვილი. დაუჯერებელიც არაფერია, ყველას კარგად გვახსოვს სააკაშვილის მეხოტბე კულტურის მოღვაწეები.

ირმა ნადირაშვილი ძვირადღირებული შენაძენის გამო ხშირად აკრიტიკებს ხელისუფლების მაღალჩინოსნებს. მისი ქონებრივი დეკლარაცია კი, რომელიც 2014 წლის აგვისტოში აქვს შევსებული, ასე გამოიყურება. ამ დროს ჯერ ისევ ყოფილი მეუღლე დავით დალელიშვილი და პატარა ნიკოლოზი ჰყავს მითითებული. დავით დალელიშვილს 4 სახლი აქვს. მათ შორის, 188 კვ.მ. საცხოვრებელი სახლი შინდისში, შინდისშივე ფლობს აგარაკს — 387 კვ.მ. თავად ირმა ნადირაშვილის სახელზეა ბინა თბილისში რობაქიძის გამზირზე და ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე. „ორბი ჯგუფის“ სახლი ზღვის პირას მდებარეობს. ამბობენ, რომ სწორედ ეს იყო მიხეილ სააკაშვილის საჩუქარი — ერთგულების სანაცვლოდ, თუმცა, დეპუტატი ამას კატეგორიულად უარყოფს.

დეპუტატის საბანკო ანგარიშები, შემოსავლები — ათი ათასებს აჭარბებს. ქუთაისში, ბინაც აქვს დაქირავებული, რომლის გადასახადმა 10 000 ლარი შეადგინა.... დაახლოებით ასე გამოიყურება დეპუტატი ქალბატონის ბიოგრაფიის ის დეტალები, რომელიც საზოგადოებას აინტერესებს. ნაციონალური სახეების დაყოფა, როგორც ვარაუდობენ, გარდაუვალია, ამიტომ ვის გუნდს ჩაეფსკვნება ამჯერად ნადირაშვილი, კიდევ უფრო საინტერესოა. ამ საკითხში ნამდვილად დიდი ინტრიგა იმალება.

**მანამდე კი, ინადიროს „ნადირაანთ ქალმა“... ჩვენს პოლიტიკას ბევრი მონადირე ამორძალი ახსოვს, მაგრამ ისინი მხოლოდ ისტორიის ფურცლებზე დარჩნენ, რადგან ხალხის მეხსიერებიდან უკვე წაიშალნენ. ვნახოთ, რა ბედს გაიზიარებს ეს „ბედის ნებიერა“ მონადირე და რას მოინადირებს?!**

თეა მოსია

**მის ამ ნათქვამს დაეჯერებოდა, რომ არა ნადირაშვილის წარსული. ორგანიზაცია IDFI-მ გაასაჯაროვა ინფორმაცია, საიდანაც ირკვევა, რომ როგორც მიხეილ სააკაშვილის რეზიდენციის ერთ-ერთი თანამშრომელი, ირმა ნადირაშვილი 300-პროცენტიან პრემიებს იღებდა.**

სტიქია

### დაზარალებული მოსახლეობა დახმარებას ითხოვს

სეტყვის შედეგად დაზარალებული სოფლების კარბის, გუგუტიანთ კარის და მერეთის მოსახლეობა გორის ადმინისტრაციის შენობასთან შეიკრიბა. მოსახლეობა ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებს და ითხოვს, დაუყოვნებლივ მოხდეს სეტყვის შედეგად მიყენებული ზარალის დათვლა და ანაზღაურება.

მუნიციპალიტეტის შენობასთან მისულები ამბობენ, რომ ხელისუფლებამ შარშანდელი სტიქიის დროსაც დაითვალა ზარალი, თუმცა, არც ერთ მოსახლეს არანაირი კომპენსაცია არ მიუღია. ადგილობრივები ეჭვობენ, რომ ხელისუფლება დაზარალებულებს წელსაც არ გაუწევს დახმარებას. ადმინისტრაციულ შენობასთან შეკრებილებს გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ონიაშვილი შეხვდა. შეკრებილებსა და გამგებელს შორის შეკამათება და სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.

### ვაკეში ხუთი საცხოვრებელი სახლი დაიტბორა

როგორც ვაკის რაიონის გამგებელმა ლაშა აბაშიძემ განაცხადა, 5 ოჯახის საცხოვრებელი ფართია დატბორილი.

„ყველა იმ ოჯახს, ვისი სახლებიც დაიტბორა, შესაბამის კომპენსირებას გავუკეთებთ და მოვაწესრიგებთ საცხოვრებელ ფართებს. მანამდე ჩვენ მათ გავიყვანთ ქირით და უზრუნველვყოფთ, რომ დროებით სხვა სახლებში იცხოვრონ“, — განაცხადა ლაშა აბაშიძემ.

„მთელი ღამის განმავლობაში გარეთ ვიყავით, გზები არსად არ გადაკეტილა, მოვახერხეთ პრობლემების აღმოფხვრა. იყო რამდენიმე ცხელი წერტილი, მამადავითის ეკლესიასთან მისასვლელი გზა, რომლის ძირითადი ნაწილი გაწმენდილია და დღის განმავლობაში კიდევ დავასუფთავებთ. გადაადგილების პრობლემა არ არსებობს, თუ სადმე ასეთი პრობლემაა, მოვუწოდებთ მოსახლეობას მოგვმართონ და ამ პრობლემას მოვაგვარებთ“, — განაცხადა დედაქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა სუდაძემ.

რაც შეეხება სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობას, თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი აცხადებს, რომ ჯერ ზარალი დათვლილი არ არის.

### სტიქიამ დუშეთის სოფლებში გზები დააზიანა



როგორც დუშეთის რაიონის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა განაცხადა, ძლიერმა წვიმამ ბაზალეთის თემში გზები დააზიანა და ჩაკეტა. გზის პრობლემა შეიქმნა ასევე უკანა ფშავში. როგორც ჩოხელმა განაცხადა, დაზიანებულია ელექტრობოძები. კერძოდ, სოფელ მლაშეში ადიდებულმა მდინარემ 5 ბოძი წაიღო, რის გამოც მოხდა ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხება. გამგებლის განცხადებით, ადგილზე ბრიგადები იმყოფებიან და სამუშაოები მიმდინარეობს.

მისივე თქმით, ღამით ჩაკეტილი იყო ცენტრალური გზა — ბაგიჭალა-ბაზალეთის მიმართულებით, თუმცა ამჟამად ტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილია. რაც შეეხება სოფელ გრემისხევის გზას, გამგებლის თქმით, აღნიშნულ გზაზე ყოველი წვიმის დროს ხდება მეწყერის ჩამოწოლა და ამჟამადაც გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.

### წვიმიანი ამინდი მომდევნო დღეებშიც შენარჩუნდება

როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრში განაცხადეს, მომდევნო დღეებში ქვეყნის მასშტაბით დროგამოშვებით იწვიმებს, პერიოდულად გამოიდარებს.

დღეს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით, ტემპერატურა დასავლეთში +26 +31 გრადუსი, აღმოსავლეთში +28 +33, დედაქალაქში კი +31 გრადუსი იქნება. სინოპტიკოსები 6 ივნისს, დღის ბოლოს ამინდის კიდევ უფრო გაუარესებას ვარაუდობენ. მათი ინფორმაციით, 6 ივნისს, საღამოს დასავლეთში მოსალოდნელია წვიმა, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში კი ძლიერი წვიმა და ქარი.

### დაზიანებულია მამადავითამდე მისასვლელი გზა და ვარაზისხევი

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მთავრობის წევრებს სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად მითითებები მისცა. მისივე თქმით, განსაკუთრებით დაზიანებულია მამადავითთან მისასვლელი გზა, ასევე - ვარაზისხევი. თბილისის მერიის მხრიდან, მათ შორის სანაპიროზე ჩასასვლელი ერთი მონაკვეთი, სადაც ძლიერი წვიმის შედეგად მოხდა დაზიანება.

„აქტიურად უნდა გავიტანოთ ჩამოშლილი კლდის ნაწილები შესაბამის ადგილებზე, რათა პრობლემები არ შეექმნათ. შეფერხებები ამ დროის მდგომარეობით ყველგან აღმოფხვრილია. რაიონულ გამგეობებს ევალებათ, რომ სადაც იყო პრობლემები, მაქსიმალურად გვერდით დაუდგნენ მოსახლეობას. „თბილსერვისჯგუფმა“ და „სინათლის ქალაქმა“ იმავე რეჟიმში გააგრძელოს მუშაობა, როგორც გუშინ ღამით და ასევე მოხდეს ზარალის დათვლა“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ინტერპრესი

საკუთრება საკუთრების წილ!!!



# ყვარლის მიშასეულ სახლს შოშიაშვილები შეესივნენ!

***ბიზნესმენმა** ვალერი შოშიაშვილმა ყვარელში ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაყადაღებული საცხოვრებელი სახლი დაიკავა. როგორც ბიზნესმენი აცხადებს, ნაციონალურმა მოძრაობამ გრემის კულტურის სახლში, რომელიც 8 000 ლარად იყო შეფასებული, იძულების წესით, 700 ათასი დოლარი გადაახდევინა. ბიზნესმენი ამბობს, რომ ამის თაობაზე მთავარ პროკურატურას მიმართა, თუმცა, საქმე ამ დრომდე გამოუძიებელია. მისივე განცხადებით, მანამ, სანამ მის კუთვნილ ქონებას არ მოეხსნება ყადაღა, არ აპირებს, დატოვოს სააკაშვილის საცხოვრებელი სახლი.*

*ვალერი შოშიაშვილმა ექსპრეზიდენტის სახლის დაკავება გუშინ დააანონსა, თუმცა, მას დაყადაღებულ სახლში სამართალდამცავების ნაცვლად, ნაციონალური მოძრაობის წევრები დახვდნენ, რომელთა განცხადებით, ბიზნესმენი, რომელიც კახეთში ნინო ბურჯანაძის პარტიას ხელმძღვანელობს, ყოფილი პრემიერის დაკვეთას ასრულებს.*

*რა შემთხვევაში დატოვებს სააკაშვილის საცხოვრებელ სახლს და ვინ დგას მის უკან? ამ საკითხებთან დაკავშირებით **ვალერი შოშიაშვილი** გვესაუბრება.*

**— ბატონო ვალერი, რატომ გადაწყვიტეთ, რომ დაგეკავებინათ ყოფილი პრეზიდენტის საცხოვრებელი სახლი?**

— მინდა, გითხრათ, მე უკვე დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ პრეზიდენტის და პრემიერის ადმინისტრაცია გააკეთებს განცხადებას ჩემს საქმესთან დაკავშირებით. რაც შეეხება ჩემს გადაწყვეტილებას, გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა ბექა ბასილაიამ და ზაზა მალუძემ 2012 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე მაიძულეს, რომ ყვარლის რაიონის სოფელ გრემის კულტურის სახლის დანგრეულ შენობაში, რომელიც აუდიტის მიერ 8 ათას ლარად შეფასდა, 700 ათასი გადამეხადა. ისე გამომაცხადეს გამარჯვებულად, რომ აუქციონში მონაწილეობა საერთოდ არ მიმიღია. მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, ვითხოვ სამართლიანობის აღდგენას, მაგრამ დღევანდელმა ხელისუფლებამ არ გამოიჩინა არც ნება და არც სურვილი, რომ აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დასრულებულიყო. ამიტომ, ჩემს ოჯახთან ერთად ამ გზით დავიწყე სამართლიანობის აღდგენა.

**— და ფიქრობთ, რომ ამ გზით შეძლებთ სამართლიანობის აღდგენას?**

— რა თქმა უნდა, ვფიქრობ, რომ მხოლოდ ასე თუ აღვადგენ სამართლიანობას. სანამ ბოლომდე არ აღვადგენ სამართლიანობას, არსად არ წავალ. ჩემს ოჯხათან ერთად დავრჩები აქ.

**— ბატონო ვალერი, თქვენთვის თუ იყო ცნობილი, რომ ქონება, რომელიც თქვენ დაიკავეთ, დაყადაღებულია?**

— ვიცოდი და ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ჩემი ქონებაც ასევე არის დაყადაღებული. იმედია, დღევანდელი ხელისუფლება აღნიშნულ ქონებას მოხსნის ყადაღას და გადმოფორმდება ჩემს სახელზე. ახლა ჩემს ოჯახთან ერთად ვიმყოფები სააკაშვილის ვენახში.

**— სახლში შესვლას არ აპირებთ?**

— ჯერჯერობით, სახლში შესვლას არ ვაპირებთ. შემდეგ ვნახოთ, რა იქნება.

**— თუ აცნობიერებთ იმას, რომ სამართლიანობის აღდგენის მოტივით, თქვენ თავად არღვევთ კანონს?**

— არც ჩემი ქონების შეხების უფლება ჰქონია არავის, როდესაც ჩემი ნების საწინააღმდეგოდ წამართვეს. როგორც მოგახსენეთ, ველოდებოდი სამართლიანობის აღდგენას, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ვერ მივაღწიე. გეთანხმებით და ვიცი, რომ ვარღვევ კანონს, მაგრამ ხელისუფლებამ სხვა გზა არ დამიტოვა.

**— თქვენ დააანონსებული გქონდათ, რომ აპირებდით სააკაშვილის სახლის დაკავებას, როგორ ფიქრობთ რატომ არ შეგიშალათ ხელი პოლიციამ? მით უმეტეს, რომ საქმე ეხება სხვის საკითრებას, რომელიც დაყადაღებულია...**

— ვერ გეტყვით. როდესაც მოვედი ჩემს ოჯახთან ერთად, აქ დამხვდა ნაციონალური მოძრაობის ზონდერები, მხოლოდ მათგან იყო წინააღმდეგობა. კერძოდ, აქ დამხვდნენ გიორგი ბოტკოველი და შაქრო ტერტერაშვილი, რომლებიც უხეშად არღვევდნენ ადამიანის უფლებებს და გვაყენებდნენ შეურაცხყოფას. თუმცა, ჩვენ არ ავყევით ამ პროვოკაციას. ასევე, აქ იყვნენ დეპუტატები — ირმა ნადირაშვილი და გიორგი ღვინიაშვილი, რომლებთანაც შეხვედრა მოვითხოვე, მაგრამ ისინი მიხეილ სააკაშვილის სახლის უკანა კარიდან გაიპარნენ.

**— რატომ მოითხოვეთ მათთან შეხვედრა?**

— როდესაც ჩემს წინააღმდეგ უკანონობა ხორციელდებოდა, მაშინ კახეთის გუბერნატორი იყო გიორგი ღვინიაშვილი.

**— უმცირესობის წევრების განცხადებით, ამ შემთხვევაში თქვენ ასრულებთ ბიძინა ივანიშვილის დავალებას და მიზანმიმართულ შანტაჟს აწყობთ, რაც პირდაპირ კავშირშია სააკაშვილის განცხადებასთან, რომ ის აუცილებლად ჩამოართმევს ქონებას ბიძინა ივანიშვილს...**

— არავის დავალებას არ ვასრულებ. ნამდვილად, ვერავინ ვერ დამდებს ბრალს იმაში, რომ მე ხელისუფლების რომელიმე წევრს შევხვედროდი, ან ვიცნობდე რომელიმე მათგანს. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. ეს არის ნაციონალური მოძრაობის ბოდვა, რადგან თავს სხვანაირად ვერ იმართლებენ. მე ვითხოვ დაუყოვნებლივ მოეხსნას ყადაღა-გირავნობა ჩემს ქონებებს და მხოლოდ ამის შემდეგ გავანთავისუფლებ სააკაშვილის ქონებას.

**— გამომდინარე იქიდან, რომ თქვენ არღვევთ კანონს, თუ ელოდებით სამართლებრივ რეაგირებას თქვენს წინააღმდეგ?**

— სამი წელია, რეაგირებას ველოდები — ბექა ბასილაია, რომელიც დღეს ადვოკატობს, დაკავებული უნდა იყოს. ასევე, დაკავებული უნდა იყოს ყველა ის ადამიანი, რომლებიც ჩემს საქმეში ფიგურირებენ, მაგრამ ამაზე რეაგირება ჯერჯერობით არ არის.

**— თუ გაქვთ ინფორმაცია რა ეტაპზეა თქვენი საქმის გამოძიება?**

— არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, არავინ არ შემხმიანებია არც ახალი დეპარტამენტიდან. დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს დეპარტამენტი ჩანასახშივე იყო ტყუილი, რადგან ეს დეპარტამენტი არ არსებობს.

**თამთა ქარჩავა**

ბიზნესმენთა ყვლეფა ნაციონალურად

# გონიოში ბიზნესმენისთვის წართმეულ სასტუმროში კოდუებისა და ახალაიების ნაგრამი ნებივრობდა

**ბიზნესმენ ოთარ მახარაძეს ემზარ კვიციანთან არარსებული კავშირის გამო ნაციონალებმა ქონება ჩამოართვეს. სინამდვილეში, ბიზნესმენი არათუ ემზარ კვიციანს არ იცნობდა, არამედ ერთი სვანი მეგობარიც კი არ ჰყავდა ნაცნობებს შორის. საუბარია გონიოში მდებარე სასტუმროზე, რომელიც 2015 წლის 6 მაისს ოთარ მახარაძეს სასამართლომ დაუბრუნა, თუმცა, დღევანდელი მთავარი პროკურატურა გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. კონკრეტულად, ამ საქმეს პროკურატურის წარმომადგენელი ნათია გორგოძე კურირებს, რომელსაც ოთარ მახარაძის ადვოკატი — ემზარ პაქსაძე საბოტაჟში ადანაშაულებს.**

**საქმის დეტალების შესახებ ემზარ პაქსაძეს ვესაუბრეთ.**

როგორც გაირკვა, ომარ მახარაძემ მიწის ნაკვეთი გონიოში 1998 წელს შეიძინა, 2006 წელს აიღო შესაბამისი ნებართვა და სასტუმრო ააშენა თავისი კოტეჯებით. 2009 წლის 4 ივლისს მასთან მივიდნენ ხელვაჩაურისა და ბათუმის პოლიციის თანამშრომლები და აღნიშნული სასტუმროს დაცლა მოსთხოვეს, თანაც განუმარტეს, რომ აღნიშნული ქონება ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნოდა, ვინაიდან, თურმე 2007 წელს (ანუ ორი წლით ადრე) ჩატარდა გულრიფშის რაიონული სასამართლო, სადაც სხვა პირებთან ერთად, მახარაძეს, როგორც ემზარ კვიციანთან დაკავშირებულ პირს, ქონება ჩამოართვეს ისე, რომ რეალურად, ბუნებაში არ არსებობდა ამ კავშირის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი. ბუნებრივად გაჩნდა კითხვები, სად იყვნენ აჭარის პოლიციის თანამშრომლები მანამდე, როცა სასტუმროს მშენებლობის პროცესი მიმდინარეობდა? რა არგუმენტზე დაყრდნობით აცხადებდნენ, რომ ბიზნესმენი დაკავშირებული იყო ემზარ კვიციანთან?

ოთარ მახარაძის ადვოკატმა არაერთგზის მიმართა სააპელაციო, ასევე, უზენაეს სასამართლოს, თუმცა, გამოგონილი მიზეზებით უარს ეუბნებოდნენ საქმის განხილვაზე. ეს საქმე სახალხო დამცველის მოხსენებაშიც მოხვდა, როგორც საკუთრების უფლების დარღვევა.

**„ამის შემდეგ მოვლენები უფრო დრამატულად წარიმართა. 2012 წელს ხელისუფლების ცვლილებების შემდეგ, კვლავ მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას, ასევე, შს სამინისტროს, რადგან ეკონომიკის სამინისტრომ ეს ქონება 2009 წელს საკუთრების უფლებით გადასცა შს სამინისტროს. გვაინტერესებდა, რაში სჭირდებოდა შს სამინისტროს სასტუმრო? იმ პერიოდში ვიცოდით, რისთვისაც სჭირდებოდა და უამრავი თვითმხილველი გვყავს, როგორ ისვენებდნენ კოდუას, ახალაიას ოჯახის წევრები, ცოლები, შვილები, ლორთქიფანიძეზეც იყო საუბარი, ანუ უფრო მეტად შს სამინისტროს მაღალჩინოსნები იყენებდნენ ამ სასტუმროს. საქმეს კურირებდა მაშინდელი კუდის უფროსი აჭარაში თემურ პატარიძე. პროკურატურას ვთხოვეთ, გამოძიება დაეწყო, რადგან თემურ პატარიძემ ბოროტად გამოიყენა სასამართლო ხელისუფლება და პირადი ინტერესით წაგვართვეს ქონება, მაგრამ სადაც მივედით, ყველგან გვეუბნებოდნენ, რომ ეს სასამართლო გადაწყვეტილებაა, ამას ვერ გაექცევით, ეგებ, ან კომისია შეიქმნას და მოხდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადახედვაო.**

**ჩემს მარწმუნებელს იმასაც ვეკითხებოდი, შემთხვევით ხომ არ დაგირეკავს კვიციანთან, ვიცოდი რა ნანუკა ჟორჟოლიანის ისტორია, რასაც კოდუების მხრიდან ანგარიშსწორება მოჰყვა, მაგრამ მომხდარით გაოგნებული იყო. ამის შემდეგ გამოძიებამაც დაადგინა, რომ არანაირი კავშირი, ნაცნობობაც კი, ოთარ მახარაძეს არ აკავშირებს ემზარ კვიციანთან - დაკითხული ჰყავთ უამრავი მოწმე. ეს ცნობაც მივიტანეთ სასამართლოში, როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოება, რომ პროკურატურა, ვინც არის მოსარჩელე, დღეს თვითონვე ამბობს, რომ შეცდომა გაეპარათ, მაგრამ სასამართლომ უარი გვითხრა განხილვაზე, 2012 წლის შემდეგ ხანდაზმულობა გასულიაო. 2012 წლის შემდეგ იმ სასტუმროში არავინ ისვენებს, მხოლოდ დაცვის პოლიციელია და ხელფასს უხდიან შენობის ყარაულობისთვის“,** — აღნიშნა ემზარ პაქსაძემ.

საბოლოოდ, ბიზნესმენ ოთარ მახარაძის დამცველმა გამოიყენა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმეში ჩართო მისი მეუღლე, რომელმაც ამ საქმის შესახებ არაფერი იცოდა და სასამართლოში მხარედაც არ ყოფილა დაბარებული. მართლაც, 6 მაისს სასამართლომ გააუქმა სასტუმროს ჩამორთმევის გადაწყვეტილება.

**„ვიფიქრეთ, დამთავრდა უსამართლობა-მეთქი, მაგრამ როცა გახარებულები გამოვდიოდით, პროკურატურის წარმომადგენელმა ნათია გორგოძემ გვითხრა, ტყუილად გიხარიათ, ნაადრევად ზეიმობთ, ამას გავასაჩივრებთო. ვკითხე, რატომ, შენივე პროკურატურის ცნობა მაქვს, რომ კვიციანთან რაიმე კავშირი არ გვაქვს, ამ ქონებისგან რაღა გინდა-მეთქი? ამასთან, თავად ემზარ კვიციანსაც მოუხსნეს ის უკანონო მუხლი, რომლითაც მისი ქონების ჩამორთმევა ხდებოდა. მაინტერესებს, რატომ არის დღესაც ნათია გორგოძე თანამდებობაზე, რომელმაც თავის დროზე უკანონოდ ჩამოართვა ქონება ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს? მივმართავ მთავარ პროკურატურას, უარი თქვას გასაჩივრებაზე. რვა წელია, ველოდებით ქონების დაბრუნებას, ამ გადატვირთული სასამართლოების შემხედვარე, კიდევ ორი წელი უნდა ველოდოთ საბოლოო გადაწყვეტილებას. ქონებას ქონებად ვერ ვიყენებთ და ამ დროს ნათია გორგოძე პრემიებს იღებს. პასუხი არ უნდა აგოს არავინ?“,** — აინტერესებს ადვოკატს.

**მანანა ნოზაძე**



# როგორ ამშვიდებდა ბუში სააკაშვილს და რა ჩამოიტანა ამერიკულმა სამხედრო გემმა ბათუმში?

## აპირებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და თუ აპირებს, როგორ?



**ვიდრე ხელისუფლება ამ კითხვას გასცემს პასუხს, მას და სხვას შევახსენებ, რომ დაკარგულის დაბრუნება შეიძლება ორი გზით — ომით და მოლაპარაკებით. ასე იყო და არის მსოფლიოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. მაგრამ, როგორც ზოგიერთები გვიმტკიცებენ, არის მესამე გზაც — დამპყრობლის იძულება, ანუ ნებაყოფლობით — ცხადია, ზეგავლენის შედეგად, მიტაცებულის დაბრუნება.**

ეს ვარიანტი ძნელად განსახორციელებელია, ვინაიდან მჭიდროდ უკავშირდება მიმტაცებლის ზომასა და წონას, სამხედრო ძლიერებას და, რაც მთავარია, დემოკრატიულობის ხარისხს — სხვაგვარად, უფრო რბილად რომ შეახედებს დამპყრობელს წაგლეჯილი ტერიტორიის ყოფილ პატრონზე. „სხვაგვარი“, „რბილი“ შეხედვის ინიციატორი აუცილებლად უნდა იყოს დაზარალებული მხარე. მან ყველაფერი უნდა იღონოს დამპყრობლის გულის მოსაგებად. ამ პროცესს უდავოდ უნდა ერთვოდეს სხვა ქვეყნების სისტემატური ძალისხმევა დამპყრობლის პოზიციების შესაცვლელად და დაზარალებულის მხარდასაჭერად.

ძალისმიერი გზით რომ საქართველო ვერასდროს შეძლებს რუსეთის დაჩოქებას, ცხადია. რა დონეზე უნდა დაეცეს რუსეთი, მისი შეიარაღებული ძალები, რომ საქართველომ შეძლოს მისი დამარცხება?

ქართველი მეომრებისთვის არც ავღანური პრაქტიკა და არც ცენტრალური აფრიკული ან უკრაინული საკმარისი არ არის რუსეთის ჯართან დასაპირისპირებლად, აღარაფერს ვამბობ შეიარაღებაზე. რუსეთი ხომ იარაღით ვაჭრობის საქმეში მეორეა მსოფლიოში, აშშ-ის შემდეგ. რუსეთი, რომელიც ბირთვული იარაღის მფლობელია, არ შეუდრკება ამერიკის მიერ ნახმარი იარაღითა და მძიმე ტექნიკით შეიარაღებულ ქართულ ჯარს. რუსეთი არ შეშინდება ფრანგული რაკეტებით, რომლის ყიდვას ყოფილი თავდაცვის მინისტრი ალასანია ფიქრობდა და დღევანდელი მინისტრი ხიდაშელი იმეორებს. არც საქართველოს ნატოში შესვლით შეშინდება რუსეთი, ვინაიდან კარგად იცის, რომ ნატო რუსეთთან შეჭიდებით არ გაიწირავს თავს.

ახლა, რაც შეეხება მოლაპარაკებას. ეს საშუალება მნიშვნელოვანია და მას პროფესიონალი მომლაპარაკებელი, მეტადრე მრავლობით რიცხვში, ესაჭიროება, გარდა ამისა, ხელისუფლების გადაწყვეტილება, იყოს მზად ხანგრძლივი, დამქანცველი დიპლომატიური მარათონისთვის. პარალელურად თავი შეიკავოს პარტნიორის ლანძღვა-გინებისგან და იღვაწოს მედიის მიერ სისტემატური განქიქების აღკვეთისთვის.

არც ერთი და არც მეორე საქართველოში არ ხდება. ქვეყნის დიპლომატია მწირია პროფესიონალი, საზრიანი მომლაპარაკებლებით. გარდა ამისა, სახელისუფლებო შტოებიდან დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები იფრქვევა დღევანდელი მტრის, ხვალინდელი მოლაპარაკების პარტნიორის მისამართით. ავიღოთ პრეზიდენტ მარგველაშვილის ინტერვიუები, მიცემული უცხოური მედიისთვის და პრემიერ ღარიბაშვილის განცხადება „აფხაზეთობასთან“ დაკავშირებით. როგორც ჩანს, მარგველაშვილს ჰგონია, რომ უცხოურ პრესაში ნათქვამი მხოლოდ იმ ქვეყანაში გაჟღერდება, სადაც გაზეთი გამოდის და არა სხვაგან, მაგალითად რუსეთში.

ის, რაც მარგველაშვილმა ბრძანა, შორს არის — „ენა ტკბილი მოუბარის“ — სიბრძნისგან. არის გამომწვევი, თანაც შეურაცხმყოფელი, მომავალი პარტნიორისთვის. და ეს ყველაფერი ლუკაშენკოს პოზიტიური ვიზიტის ფონზე და მარგველაშვილის დაპირებაზე, რომ მზადაა მოლაპარაკებისთვის. მარგველაშვილის ინტერვიუებმა გააბათილეს ლუკაშენკოს ვიზიტის დროს გამოთქმული მოსაზრებები.

სულ ახლახან, „აფხაზეთობის“ დღის აღსანიშნავ დღესასწაულზე ღარიბაშვილმა გამოთქვა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დაწყების სურვილი, მაგრამ ისიც დაამატა, რომ ტერიტორიული საკითხი არ იძლევა ამის საშუალებას და ვიდრე ეს არ მოგვარდება, შედეგიანი დიალოგიც არ შედგება. გარდა ამისა, პრემიერმა ახსენა აფხაზი ძმები და დები, რომლებთანაც საქართველოს სურს უწინდელი მეგობრობა.

პრემიერმა, ისე როგორც პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, რომ მისი ნათქვამი, ატაცებული მედიის მიერ, უმალ მთელ მსოფლიოს მოედება. მსოფლიოში რუსეთიც შედის და თუ ნაურუსა და ზიმბაბვეში ამ განცხადებებს ყურადღებას არავინ მიაქცევს, რუსეთში მიაქცევენ.

მაინც რა მესიჯის მატარებელია პრემიერის ნათქვამი? რუსეთისთვის — არაფრის. რატომ? იმიტომ, რომ იმიტომ.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე რომ საქართველო რუსეთთან სერიოზულად არ დაილაპარაკებს — არახალია. დაულაპარაკებლად კი როგორღა დაბრუნდება ტერიტორიები? ღარიბაშვილის განცხადება „რბილი“ პოზიციის გამოხატულებაა — მხარეს, ლაპარაკის სურვილი რომ აქვს, მაგრამ რაღაც რომ ხელს უშლის.

ორწელიწადნახევარია ამ პოზიციაზეა საქართველო, რაც რუსეთისთვის ცნობილია, ამდენად, საქართველოდან რაიმე პოზიტიურს ის არ ელოდება. **რაც შეეხება რუსეთის პოზიციას, ის გაჟღერდა ლუკაშენკოს პირით — დავიწყოთ მოლაპარაკება და მსვლელობისას დავადგინოთ, სადამდე შეგვეძლება წასვლა.** ლუკაშენკოს ამ განცხადებაზე იყო ღარიბაშვილის პასუხი? ის უფრო ულტიმატუმს ჰგავდა თავისი შინაარსით, ვიდრე დიპლომატიური მოლაპარაკების დაწყების სურვილს.

დიპლომატიური მოლაპარაკების წინააღმდეგია ნაციონალური ოპოზიცია, სხვებიც, რომლებიც თვლიან, რომ პირისპირ ლაპარაკში რუსი მომლაპარაკებელი დაჯაბნის ქართველს და ამისთვის იქ მესამეც უნდა იყოს — ცხადია, ევროპელი ან ამერიკელი.

არც ევროპელს და არც ამერიკელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არ აღელვებს. ყოველ შემთხვევაში ასე იყო 2008 წლის აგვისტოში, თორემ მაშინ რომ ვაშინგტონს ყური აეწია სააკაშვილისთვის, არც ომი იქნებოდა და არც პრობლემა გაჩნდებოდა. პირიქით, რაც მათ გააკეთეს, წაქეზებას ჰგავს — „მიდით, ქართველებო, ჩვენ აქ ვართო“. გახსოვთ, ალბათ, რა გულმოსული ელაპარაკებოდა სააკაშვილი აშშ-ის პრეზიდენტ ბუშს ტელეფონით. „სად ხართო“, — გაოგნებული კითხულობდა გაცუცურაკებული სააკაშვილი. „მიშა, დამშვიდდიო“, — იყო ბუშის პასუხი და საქართველოს საზღვაო სანაპიროს სასმელი წყლითა და ტუალეტის ქაღალდით დატვირთული ამერიკული სამხედრო გემი მოადგა.

საქართველო-რუსეთის მოლაპარაკება ორმხრივია და არა სამმხრივი. არც კონფერენციაა. მომავალი პარტნიორი არც ისეთი ურჩხულია, როგორც დასავლეთი ხატავს. მასთან შეიძლება ლაპარაკი. ეს რომ ასე არ იყოს, ევროპა-ამერიკის არც ერთი პოლიტიკოსი ხმას არ გასცემდა რუსეთს.

პირადად ჩემი აზრი ასეთია — **როდესაც ჩიხში ხარ შესული, დალაპარაკების მეტი სხვა გზა არა გაქვს.** მართალია, დიპლომატიური მოლაპარაკება დაგვიანებულად მეჩვენება, მაგრამ სხვა გზა რომ არ არის?! ღარიბაშვილი კი ისევ ძველ პოზიციას აწვება — ჯერ ტერიტორიული მთლიანობა, შემდეგ — ლაპარაკი. თუ რუსეთმა ტერიტორიული მთლიანობა აღგვიდგინა, მოსალაპარაკებელიც რაღაა?

**მოლაპარაკება ტერიტორიების დასაბრუნებლად უნდა წარვმართოთ, უპირველეს ყოვლისა, მაგრამ იმის ცრუ რწმენა თავში არ უნდა ჩავიდოთ, რომ ერთხელ ლაპარაკით ან რაღაცის დათმობის გარეშე, რაიმე გამოგვივა.** გარდა ამისა, საკითხავია, აპირებს თბილისი „ჩვენს დებთან და ძმებთან, აფხაზებთან და ოსებთან“ საერთო ცხოვრების დაწყებას? თუ აპირებს, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ისინი რა ხანია „დამკაში“ არიან გასული, სწორედაც თბილისის მხრიდან რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკების დაწყების გაჭიანურების გამო. აფხაზები და ოსები რა ხანია დამოუკიდებლად ცხოვრების სიამტკბილობაში არიან. მათ ეს დამოუკიდებლობა სისხლითა და ოფლით მოიპოვეს, რაც ნაკლებ საფუძველს იძლევა დამოუკიდებლობის ავტონომიაზე გაცვლისა.

ვერც ჟენევაში ვივარგეთ და ვერ შევუსრულეთ „ძმებსა და დებს“ თხოვნა უსაფრთხო ცხოვრებისთვის თავდაუსხმელობის დოკუმენტზე ხელმოწერასთან დაკავშირებით.

ოფიციალური თბილისი სიტყვას არ წარმოთქვამს „სეპარატისტების“ ხსენების გარეშე, თან ყოველ წინადადებას „ეგრეთ წოდებულს“ ურთავს წინ. ეს „ეგრეთ წოდებული“, დამოუკიდებელია და მიუხედავად ამერიკა-ევროპის წინააღმდეგობისა, იკვლევს გზას ბობოქარ პოლიტიკურ ჭიდილში.

დავუშვათ, მოსკოვმა გვითხრა — თანახმა ვარ, მაგრამ დაელაპარაკეთ აფხაზებსა და ოსებსო, მაშინ რას ვშვრებით? სხვათა შორის, პუტინის პირველი ვადით პრეზიდენტობის დროს თქვა ამდაგვარი რამ. ამ შემთხვევაში ვასილ მჟავანაძის დროინდელი ისტორია არ გამოდგება, როდესაც რაიკომის პირველი მდივნობის მსურველი თავის სურვილს ვასილ პავლოვიჩს გაანდობს. მჟავანაძემ გაიკვირვა და თქვა: „ხალხი რას იტყვისო“. რაიკომის მდივნობის მსურველმა კი უპასუხა: „თქვენ იყავით თანახმა, ხალხის დედაცო“.

ოფიციალური თბილისი არათუ რუსეთს არ ელაპარაკება, არც სოხუმ-ცხინვალთან ლაპარაკს კადრულობს. მას იმედი აქვს, რომ „საერთაშორისო საზოგადოება“, საქართველოს „მეგობარი“ ქვეყნები მოაგვარებენ ამ საკითხს და ჩვენი თავის შეწუხების გარეშე აღგვიდგენენ დაკარგულ ტერიტორიულ მთლიანობას.

საქართველო იმ მესამე ვარიანტის შემყურეა, ზემოთ რომ ვახსენე. ევროატლანტიკური სივრცე არ არის ამის გამკეთებელი, ვინაიდან რუსეთი სუპერსახელმწიფოა და მასთან უჭირს ლაპარაკი. რუსეთის დასუსტების მოლოდინში კი სულიც ამოგვხდება.

საქართელოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ აუღო ალღო დასავლელთა აზროვნებას. ხელისუფლებაში მყოფ გოგობიჭებს ამერიკელთა და ევროპელთა ღიმილით ნათქვამი უარი, თანხმობა ჰგონიათ, რისი მაგალითია თუნდაც რიგა. თინეიჯერმა ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ მერკელ-ოლანდის ან ნებისმიერი ბრიუსელელი მოხელის ღიმილით ნათქვამი ოფიციალურ დოკუმენტში ღიმილით აისახებოდა. **ან ქართულმა მხარემ არ იცის დიპლომატიური ენა, ან ევროპელები არიან ცბიერები და მატყუარები.** პირადად მე ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ბევრს, მათ შორის ხელისუფლებას ჰგონია, რომ ასე არ არის.

სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლება ქსეროასლივით დაემსგავსა ნაცურ ხელისუფლებას. ისინიც ხომ უტუხად გვიმტკიცებდნენ წაგებულზე, მოვიგეთო. პრემიერიდან დაწყებული ყველამ ერთხმად თქვა, რომ რიგაში წარმატებას მიაღწიეს, თან ისიც თქვეს, მოლდოვამ რომ მრავალი წლის განმავლობაში გააკეთა, ჩვენ 6 თვეში მოვახერხეთო.

მოლდოვასთან შედარება უადგილოა. იქ სხვასთან გვაქვს საქმე. რაც შეეხება ჩვენს „წარმატებას“, დამაფიქრებელია და დამაფიქრებელია არა „წარმატება“, არამედ წარუმატებლობის ასეთად მონათვლა.

**მაინც სანამდე აპირებს ხელისუფლება ტყუილების გორებას? რატომ თვლის, რომ საქართველოს მოსახლეობა გონებაჩლუნგია და რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს? ასეთი ვერც ტერიტორიულ საკითხს მოაგვარებს, ვერც რუსეთთან დაალაგებს ურთიერთობას და ვერც ეკონომიკას ააყვავებს. ტყუილით საქმე არ კეთდება. მხოლოდ სიმართლის თქმით და გულწრფელი საქმის კეთებით შეიძლება წარმატების მიღწევა.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

**არც ევროპელს და არც ამერიკელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არ აღელვებს. ყოველ შემთხვევაში ასე იყო 2008 წლის აგვისტოში, თორემ მაშინ რომ ვაშინგტონს ყური აეწია სააკაშვილისთვის, არც ომი იქნებოდა და არც პრობლემა გაჩნდებოდა. პირიქით, რაც მათ გააკეთეს, წაქეზებას ჰგავს – „მიდით, ქართველებო, ჩვენ აქ ვართო“. გახსოვთ, ალბათ, რა გულმოსული ელაპარაკებოდა სააკაშვილი აშშ-ის პრეზიდენტ ბუშს ტელეფონით. „სად ხართო“, – გაოგნებული კითხულობდა გაცუცურაკებული სააკაშვილი. „მიშა, დამშვიდდიო“, – იყო ბუშის პასუხი და საქართველოს საზღვაო სანაპიროს სასმელი წყლითა და ტუალეტის ქაღალდით დატვირთული ამერიკული სამხედრო გემი მოადგა.**



# პაულო კოელიო

# მაქთუბი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

Ეს სიტყვები მევიოლონჩელე პაბლო კასალსის კალამს ეკუთვნის:

„მე მუდმივად ვღორძინდები. სუყოველი ახალი დილა ახალი ცხოვრების ამოსავალი წერტილია. აი უკვე ოთხმოცი წელიწადია, რაც ჩემს თითოეულ დღეს ერთნაირად ვიწყებ, ამასთანავე, ეს ნიშნავს არა მექანიკურ რუტინას, არამედ სავსებით აუცილებელ რასმე იმისათვის, რომ მე ბედნიერი ვიყო.

როგორც კი ვიღვიძებ, მივდივარ როიალთან, ვუკრავ ბახის ორ პრელუდიასა და ფუგას. ეს მუსიკა ისმის ვით ჩემი სახლის ლოცვა-კურთხევა. და, ამავდროულად, ეს არის ყოფიერების საიდუმლოსთან და ადამის მოდგმასთან მიკუთვნილობის სასწაულთან კავშირის აღდგენის ხერხი.

თუმცა, ამ საქმეს მთელი ოთხმოცი წელიწადი ვეწევი, მაგრამ მუსიკა არცროდის უწინდელი არ რჩება – ის ყოველთვის რაღაც ახალს მასწავლის, ფანტასტიკურს, წარმოუდგენელს“.

Მოძღვარი უბნობს:

– ერთის მხრივ, ყველამ ვიცით, რაოდენ მნიშვნელოვანია ღვთის ძიება. მეორეს მხრივ – ცხოვრება გვაშორებს, გვამანძილებს იმას: და ვგრძნობთ, რომ ქვეყნის დამდგენს არცრა ჩვენთან არ ესაქმება, ან არცრა მან ჩვენზე არ უწყის, ან ყოველდღიურ საზრუნავთ ვართ გადაყოლილნი და ფიქრის დრო აღარ გვრჩება. ეს წარმოშობს დანაშაულის გრძნობას: ან ვგრძნობთ, რომ ღვთის გულისთვის ვეუარებით ცხოვრებას, ან – ცხოვრების გულისთვის ვივიწყებთ ღმერთს.

სინამდვილეში ეს გაორებაა, გამრჩობლებაა, რაც იმიტომ გვეჩვენება, რომ ღმერთი ცხოვრებაშია, ცხოვრება კი ღმერთშია. საკმარისია ამის შეგნება, რათა უკეთ გავიგოთ ჩვენი ბედიღბალი. უკეთუ ჩვენი საყოველდღეო ყოფიერების წმინდა ჰარმონიაში შეღწევას შევძლებთ, უთუოდ მართალ გზაზე გავალთ და აღვასრულებთ ჩვენს მიზანდასახულობას.

Პაბლო პიკასომ როგორღაც თქვა:

– ღმერთი მხატვარია. მან მოიგონა ჟირაფი, სპილო, ჭიანჭველა და, მართალს თუ ვიტყვით, ის არცროდის არ ისწრაფვოდა, რომ ერთ გარკვეულ სტილს გაჰყოლოდა, იდგა და მუდამ იმას იქმოდა, რისი ქმნაც მოეპრიანებოდა.

Მოძღვარი უბნობს:

– როს ჩვენს ნაიღბლევ გზას დავემწყემსებით ხოლმე, ძლიერი რამ შიში გვიპყრობს – ისეთი გრძნობა გვიჩნდება, რომ ყველაფერი „როგორც საჭიროა“ აუცილებლად ისე უნდა ვქნათ. არადა, ყველას ხომ ჩვენ-ჩვენი გზა გვაქვს, ერთადერთი და განუმეორებელი. მაშ, საიდანღა გაჩნდა ცნება „როგორც საჭიროა“? ღმერთმა შექმნა ჟირაფიც, სპილოც, ჭიანჭველაც – ჩვენ რაღატომ ვართ ვალდებულნი, რომ ვიღაცის მაგალითს მივყვეთ?



მაგალითი მხოლოდ იმის ჩვენებას ემსახურება, როგორ განსაზღვრავენ სხვები თავიანთ სინამდვილეს. ჩვენ შეგვიძლია სხვათა მაგალითით აღფრთოვანება, მაგრამ სხვათა შეცდომებისთვის თავის არიდებაც შეგვიძლია.

მაგრამ როგორ ვიცხოვროთ, ნება მოგვეცით, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ თავად გადავწყვიტოთ, და არცვინ სხვამ.

Რამდენიმე ღვთისმოსავი იუდეველი სინაგოგაში ლოცულობდა, და უცებ ბავშვის ხმა გაისმა:

– ა,ბ, ც...

მრევლი ცდილობდა მთელი გულისყურის წმინდა ტექსტებზე გადატანას, მაგრამ ხმა იმეორებდა:

– ა, ბ, ც...

თანდათან ლოცვა შეწყდა, და ადამიანებმა, რომელთაც უკან მიიხედეს, ბიჭი დაინახეს, ვინც იმეორებდა:

– ა, ბ, ც...

რაბინი მიუახლოვდა და ჰკითხა:

– რატომ შვრები, ბიჭო, ამას?

– იმიტომ რომ ლოცვის სიტყვები არ ვიცი. და ვიმედოვნებ, რომ ღმერთი, რომელიც ანბანის ასოებს გაიგონებს, თავად შეადგენს ამათგან სწორ სიტყვებს, რადგან ლაზღორი, ანუ ასოებით სიტყვის კითხვა, ღმერთს არ უჭირს.

– მადლობელი ვარ შენი ამ გაკვეთილისთვის, – თქვა რაბინმა. – ვისურვებდი ღმერთისთვის ამქვეყნად ჩემი დღეების ისევე მინდობას, როგორც შენ ამ ასოებს ანდობ.

Მოძღვარი უბნობს:

– ღვთის სული, რომელიც ჩვენში ჰგიეს, შეიძლება, რომ კინოეკრანს დავადაროთ. ამ ეკრანზე მონაცვლეობით ნაირ-ნაირი ვითარება ჩნდება – ადამიანებს უყვართ ერთმანეთი, ადამიანები იყრებიან, ეძებენ და ვერ უპოვიათ განძი რამ, ხანაც შორეულ მიწა-წყალთ აღმოაჩენენ ხოლმე.

და არცრა მნიშვნელობა არა აქვს, რა ფილმს უჩვენებენ – ეკრანი მუდმივად კვლავინდებური რჩება. არ არის არსებითი, ცრემლი იღვრება თუ სისხლი – არცრას ეკრანის ტილოს სიქათქათის დალაქავება არ შეუძლია.

ზუსტად აგრევეა ღმერთიც – ყველა ცხოვრებისეული აღტაცებისა თუ სიმწარე-მწუხარების გარეთ და მაღლა დგას. და როს ჩვენი ფილმი სრულდება, ყველანი დავინახავთ ხოლმე ამას.

Მავანი მშვილდოსანი ერთი ინდუისტური მონასტრის მიდამოებში დასეირნობდა, რომელი მონასტერიც ცნობილი იყო ტიბიკონის სიმკაცრით, და უცებ სავანის ბაღში თვალი მოატანა რამდენიმე მოსიღოდე ბერს, ღვინოსგან ცნობამიხდილნი უმკაფიოდ და უშვერად ხმიანებდნენ.

– რა უსირცხვილობაა იმათი მხრიდან, ვინც ღმერთისკენ მიმავალ გზას ეძებს, – ხმამაღლა, საკმაოდ ხაფად თქვა მშვილდოსანმა. – ყველას არწმუნებენ, მთავარი წესრიგიაო, თავად კი უჩუმრად ლოთობენ

– უკეთუ ერთმანეთის მოყოლებით ას ისარს გაისვრი, რა მოუვა მაგ შენს მშვილდს? – ჰკითხა ბერთაგან უფროსმა.

– რა მოუვა და გატყდება.

– უკეთუ ვინმე დასაშვებისა თუ შესაძლებლად მისაჩნევის ზღვარს გადავა, ისიც თავის ნებას გაიტეხს, – თქვა ბერმა. – ვისაც შრომისა და მოცალეობის შეწონასწორება არ ძალუძს, ის მალე აღმაფრენას დაკარგავს და შორს ვერ წავა.



Ერთმა მეფემ შორეულ ქვეყანაში მაცნე გაგზავნა და ფრიად საიდუმლო სამშვიდობო რამ პატრუცაგი გაატანა, რომლისთვისაც იქაურ ბრძანებელსაც უნდა მოეწერა ხელი.

მაცნემ ამ საქმიდან რამე სარგებლის ნახვა განიზრახა და მეფის დავალების ამბავი წასვლამდე რამდენიმე ნაცნობ-მეგობარს გააცნო, რომელთაც იმ ქვეყანაში თავიანთი სავაჭრო მიზნები ჰქონდათ. ნაცნობ-მეგობრებმა გზაზე დამდგარ მაცნეს რამდენიმე დღით დაყოვნება სთხოვეს, თვითონ კი ამასობაში მშვიდობის ხელშეკრულების ხელმოწერის წინადღით თავიანთი სტრატეგია შეცვალეს.

როს მაცნე, ბოლოს და ბოლოს, გზას დაემწყემსა, აღმოჩნდა, რომ სამშვიდობო წინადადებას უკვე დაეგვიანა – ომი ატყდა, რომელმაც წამერთ ნადგურყო მეფის კეთილი განზრახვაც და მაცნე-დესპანის დამაყოვნებელი ვაჭართა გეგმებიც.

Მოძღვარი უბნობს:

– ჩვენს ცხოვრებაში მთავარია მხოლოდ ერთი რამ – მივდიოთ საკუთარ გზა-სავალს და აღვასრულოთ ჩვენი ხვედრი. ჩვენ კი ვდგავართ და ათასგვარი უსარგებლო რამ ამბით ვიტვირთავთ თავს, რაც საბოლოოდ გვინაცარტუტებს ოცნებებს.

Ყარიბი ვინმე სიდნეის ნავსადგურში იდგა და ქალაქის ორი ნაწილის შემაერთებელ ხიდს ათვალთვალებდა, როცა ვიღაც ავსტრალიელი მივიდა იმასთან და სთხოვა, თუ კაცი ხარ, ერთი ეს გაზეთში გამოქვეყნებული განცხადება წამიკითხეო.

– ძალიან წვრილი შრიფტია, – აუხსნა მან. – ვერ ვარჩევ, სათვალე კი არა მაქვს, შინ დამრჩენია.

მაგრამ კითხვისთვის განკუთვნილი სათვალე არც ყარიბს აღმოაჩნდა და სინანულით დაეუარა ავსტრალიელს.

– ასეთ ვითარებაში აჯობებს, რომ სულ ვიგულმავიწყოთ ამ განცხადების ამბავი, – თქვა ავსტრალიელმა. – და ვინაიდან საუბრის განგრძობის სურვილი ჰქონდა, დასძინა: – მარტო მე და შენ კი არა, მგონი, თვით უფალ ღმერთსაც შეუსუსტდა მხედველობა. ოღონდ არა იმიტომ, რომ დაბერდა, არამედ იმიტომ, რომ თავად ინდომა ასე. და აი, როს ვინმე თავისი ახლობელთაგანი ცუდად იქცევა, ძალა არ შესწევს, რომ ყოველივე წვლილად მოიხილოს და მიუტევებს ხოლმე, რადგან შიშნეულობს, უსამართლობა არ ჩავიდინოო.

– თუ თავისიანის კეთილ რასმე საქმეს შეესწრო? – დაგულისყურდა ყარიბი.

– მაშინ ღმერთს არცროდის სათვალე შინ არ ავიწყდება, – გაიცინა ავსტრალიელმა და წასვლა დააპირა.

Განა არის რამე ამქვეყნად ლოცვაზე უფრორე მნიშვნელოვანი? – ჰკითხა მოწაფემ თავის მოძღვარს.

იმან კი სთხოვა, რომელიმე უახლოეს ხესთან მიდი და რტო რამ შეაჭერიო. მოწაფე უსიტყვოდ დაემორჩილა.

– ხე ხომ არ დაღუპულა? – დაეკითხა მოძღვარი.

– ისევ ისე ჯანდალად არის, – მიუგო მოწაფემ.

– მაშ, აბა კვლავ მიდი და ახლა ფესვი გადაუჭერი.

– ფესვს თუ გადავუჭრი, ხე, რასაკვირველია, გახმება.

– ლოცვა არსია ხის რტოსი, ხოლო ფესვი რწმენაა ხისა, – თქვა მაშინ მოძღვარმა, – რწმენას შეუძლია ულოცვოდ გადარჩენა, აი ლოცვა კი ურწმენოდ ვერ იქნება.



Წმინდა ტერეზა ავილიელმა დაწერა: „გახსოვდეთ – ღმერთმა ყველანი მიგვიპატიჟა, ხოლო რამდენადაც იგი ჭეშმარიტების განსახიერებაა, არცრა დაეჭვება არ შეგვიძლია, რომ ეს მიპატიჟება ალალი გულის ამოძახილია თუ არა.

მან ბრძანა: „მოდით ჩემთან, მწყურვალნი, და მე ყველას დაგარწყულებთ“.

უკეთუ ეს მიხმობა სუყოველი ჩვენგანისთვის არ იქნებოდა განკუთვნილი, მაშინ უფალი ბრძანებდა: „მოდით ჩემთან, ვისაც გინდათ, რამეთუ დასაკარგავი არცვის მეტი არა გაქვთ რა. დარწყულებით კი ოდენ იმათ დავარწყულებ, ვინც უკვე მზად არის“.

თუმცაღა უფალი არცრა პირობას არ გვიყენებს. საკმარისია ნდობა, მისვლა და იმისი სიყვარულის უკვდავების წყლით წყურვილის მოკვლა“.

Ბუდისტი ბერები, ოდეს მედიტაციისთვის იკრიბებიან, კლდის წინარე სხდებიან და ფიქრობენ:

„ახლა აგრე ფეხმოუცვლელად დაველოდები, როდის მოიმატებს ზომაში ეს კლდე“.

Მოძღვარი უბნობს:

– ჩვენ გარშემო ყველაფერი მუდმივად იცვლება და ყოველ დილით მზე ახალ სოფელ-ქვეყანას ანათებს.

ხოლო, რასაც ჩვენ „რუტინას“ ვეძახით, ის სავსეა ახალი შესაძლებლობებით, ახალი წინადადებებით. ოღონდ ჩვენ ვერ შეგვიგნია, რომ ყოველი ახალი დღე განსხვავდება წინა, გასული დღისგან.

დღეს სადღაც განძი რამ გველოდება. ეს იქნებ წამიერი ღიმილი იყოს, ან იქნებ – თვალისმომჭრელი გამარჯვება. მნიშვნელობა არა აქვს. ცხოვრება უზღვავი დიდი და მცირე სასწაულისგან შედგება. არცრას ჩვენი თავშეწყენა არ ძალუძს, რადგან განუწყვეტლივ იცვლება. მოწყენილობა და სევდა-კაეშანი თვითონ სოფელ-ქვეყანაში კი არა, ჩვენს იმ მიდგომაშია, თუ რა თვალით ვუყურებთ ამ სოფელ-ქვეყანას.

●

როგორც პოეტი ტ.ს.ელიოტი იტყოდა:
მრავალგზაგამოვლილი
შინ როს დაბრუნდები,
ყველაფერს ისე შეხედავ,
თითქოს პირველად უყურებდე.



**წმინდაო მარიამ,**
**ვინც პირველი ცოდვის ჩაუდენლად**
**მუცლად იღე,**
**ალოცე ღმერთი ჩვენთვის,**
**შენთა მავედრებელთათვის.**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 89-101



# აბა, წამლები იაფად!

ეროვნული ვალუტის რეკორდულმა დევალვაციამ ქვეყნის ფარმაცევტულ ბაზარსაც უწია. უწია კი არა, ვგონებ, პირველ რიგში, მედიკამენტებს დააცხრა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვის წინათ, როცა ლარის კურსმა რყევა დაიწყო, ფარმაკომპანიები მოსახლეობას აიმედებდნენ, წამლებს გაძვირება არ შეეხებაო, ჩვენში ტრადიციულად დამკვიდრებული მორიგი ტყუილი გამოდგა. ფაქტია, რომ ისედაც გაღატაკებული მოსახლეობის ბიუჯეტს მთავარი ფინანსური დარტყმა სწორედ მედიკამენტების გაძვირებამ მიაყენა.

რამდენიც უნდა გვამშვიდონ ჯანდაცვის სამინისტროდან, კატასტროფულად საგანგაშო არაფერი ხდებაო, რეალობისთვის თვალის გასწორება მაინც მოუწევთ. რეალობა კი არც მეტი, არც ნაკლები, ასეთი გახლავთ: წნევის წამალი, მაგალითად „ენ ალაპრილ ჰაში“, რომელიც ამ ოთხი თვის წინათ 2 ლარი ღირდა, ახლა 4.40 ლარი გახდა. ბავშვის ხველების წამალი „პუროქსანი“ 18.50 ლარი ღირდა, ამჟამად 19.90 ლარია. „ატორისის“ ფასი 12 ლარიდან 15.30 ლარამდე გაიზარდა, ხოლო „ტრიმეკორისა“ — 9.40 ლარიდან 13.10 ლარამდე. სიცხის დამწევი საბავშვო „ნუროფენიც“ კი ვერ გადაურჩა გაძვირებას — ადრინდელი 6.50 ლარის ნაცვლად ახლა ის 7,90 ლარი ღირს. აღარ გავაგრძელებ, გაძვირებული წამლების ჩამონათვალი იმხელაა, რომ გაზეთის მთელი გვერდიც ვერ დაიტევს.

არადა, ამ ჩვენს მყვირალა სატელევიზიო რეკლამებს თუ დავუჯერებთ, ან კიდევ ღია ეთერით მმოძღვრავ სამკურნალ-წამლო კომპანიების ცალკეულ თავკაცებს, ქვეყნის ფარმაცევტულ ბაზარზე თურმე ისეთი საღსალამათი კონკურენციაა გაჩაღებული, რომ ლარის უკურნებელმა დევალვაციურმა ეპიდემიამაც კი ვერაფერი დააკლო და მედიკამენტებზე აქა-იქ შემორჩენილი მაღალი ფასები სულ პანტაპუნტით ცვივა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა აფთიაქების, უფრო სწორად, მსხვილ-მსხვილი ფარმაკომპანიების მიერ „აქციებად“ მონათლულ დღეებში, როცა მოსახლეობას მისთვის საჭირო წამლებს „დიდი ფასდაკლებით“ (15-25 პროცენტი) სთავაზობენ. არ დაიჯერებთ და, „პსპ-მ“ ამას წინათ „აქციის“ დღეებად“ გამოცხადებულ შაბათს და პარასკევს ოთხშაბათიც დაამატა(!).

— რახან ასე შესტკივათ გული ჩვენზე, — მეუბნება ოთხმოცს მიტანებული ბესო ბუჩუკური, — კარგი იქნება, კვირაობით დიდი ბაზრობა გამართონ ლილოში დევიზით: აბა, წამლები იაფად!..

— ხუმრობთ, ბატონო ბესო?

— რა მეხუმრება კაცო, — აღარ ვიცი, ამ 150-ლარიანი პენსიით ვიკვებო თუ წამლები ვიყიდო?

— ბატონო ბესო, — ვეუბნები, — ტყუილუბრალოდ რომ ვინმე არ დავადანაშაულოთ, მოდით, ფაქტების ენით ვილაპარაკოთ.

— კი, ბატონო, ვილაპარაკოთ.

— აი, გუშინ, მაგალითად, პსპ-ში რამდენიმე პრეპარატი (ჰარტილ ამლო, რაველ SP, გუტალაქსი, კორვალოლი) შევიძინე. როგორც იქ მითხრეს, აქციის დღე იყო და წამლები ფასდაკლებით მომცეს. აფთიაქარმა ქალბატონმა წამლებს ქვითარიც მოაყოლა, რაშიც გარკვევით მითითებულია, რომ პრეპარატებში ოფიციალურად ღირებული 22,40 ლარის ნაცვლად 18,20 ლარი გადავიხადე. იქვე მინაწერია: თქვენ დაზოგეთ 4,20 ლარი. ვერაფერს იტყვი, 4 ლარი დამიზოგია და როგორღა დავემდურო?

— მაგრამ მაგ ქვითარში ის არა წერია, რა ღირდა ეს წამლები ერთი წლის, სამი თვის, გნებავთ, ერთი თვის წინათ, აბა ჩაეწერათ და მერე გამოჩნდებოდა, მაგათ ექნებოდათ საპრეტენზიო თუ მე.

— მაინც რა გამოჩნდებოდა?

— თაღლითობა, ბატონო ჩემო, რასაც ეგენი ათეული წლებია, არ თაკილობენ.

— გინდა თქვა, რომ ფასებში გვატყუებენ?

— გვატყუებენ რომელია, ფიქრობენ, რომ ვერაფერს ვხვდებით და გვაცუცურაკებენ, როგორც ჩემი შვილიშვილი ამბობს ხოლმე, გვაბოლებენ...

— გვაბოლებენ? — გავიკვირვე.

— ჰო, ამა თუ იმ წამალზე ფასს ჯერ 50 პროცენტით ააგდებენ (ზოგჯერ 100-200 პროცენტითაც), მერე იქიდან 10-15 პროცენტს მოაკლებენ და „აქციებად“ გამოცხადებულ დღეებში „ფასდაკლებით“ შემოგვასაღებენ. თუ მიუხვდი ოინბაზობას, აქეთ დაგამუნთებენ: რას კადრულობთ, ბატონო, ფასდაკლებით გაძლევთ ძვირად ღირებულ წამლებს და კიდევ ჩვენ გვსაყვედურობთო?!

— როგორ ფიქრობ, ყველა წამალი გაძვირებულია?

— ვითომ რომელიმე დარჩათ ფასგაუზრდელი, რომ გავამართლო? განსაკუთრებით ისეთ წამლებზე აქვთ აქცენტი აღებული, რომლებიც მასობრივი მოხმარებისაა. მაგალითად, იციან, რომ გრიპის წამალ „ტაიქოლდზე“ დიდი მოთხოვნილებაა და ფასს წარამარა უმატებენ — ადრე თუ 10 აბი 3,7 ლარი ღირდა, ახლა 6,25 ლარი გახადეს. „სენადეც“ არ გამოეპარათ (ასაკოვანთა განუყრელი პრეპარატი) და ადრინდელი 90 თეთრის ნაცვლად 1.7 ლარად ასაღებენ. თუ „აქციის“ დღეს მიხვალ, ანგარიშს გაგიწევენ და 1,5 ლარად მოგცემენ(!).

## გვაბოლებენ, ხალხოო, გვაბოლებენ...

— თუ ფარმაკომპანიის ბარათს წარადგენ, ქულებსაც ხომ გიწერენ?

— მიიბნიონ ეგ თავიანთი ქულები ერთ ადგილზე, წელიწადში ერთხელ 2-3 ადამიანს დიდი მოგებით გააბედნიერებენ და მილიონებს კიდევ თავიანთი თაღლითური მაქინაციებით, — ეგრეთწოდებული „ფასდაკლებით“, — კუდით რიკამდე ატყავებენ.

— მაგრამ დაგროვილ ქულებზე წამლებსაც ხომ იძლევიან?

— კი, როგორ არა, ქულებს ლარებად გადაგიანგარიშებენ და კუთვნილ თანხაში იმ წამალს კი არ მოგცემენ, რომელიც გესაჭიროება, არამედ იმას, რომელიც „ჩაუწვათ“ და გაუსაღებელი დარჩათ, თანაც გაორმაგებული ფასით. მე, მაგალითად, პსპ-ში მთელი წლის მანძილზე დაგროვილი 170 ქულის საფასურად კუჭის მოქმედების მარეგულირებელი წამლის რაღაც ათიოდე აბი შემომთავაზეს. სხვა გამოსავალი არ დამიტოვეს და დავთანხმდი. ალბათ, სხვებიც ამავე მეთოდით „დააკმაყოფილეს“.

— ბატონო ბესო, შენც ადექი და წამლების შესაძენად ისეთ აფთიაქს მიაკითხე, რომელიც კონკურენტულია. მაგალითად, „ფარმადეპოს“, რომელიც, როგორც ვიცი, მედიკამენტებს სხვა აფთიაქებთან შედარებით ხელმისაწვდომ ფასებში იძლევა.

— „ფარმადეპოშიც“ ვიყავი, თანაც ერთხელ კი არა, უამრავჯერ, მაგრამ ხეირი ვერც იქა ვნახე. ადრე მართლაც იძლეოდნენ ამ აფთიაქში წამლებს ფასდაკლებით, მაგრამ შემდეგ აქაც გააძვირეს. ვითომ არ იცოდეთ, რა მამაძაღლები არიან, ჩვენ გვეუბნებიან, კონკურენტები ვართო, თორემ სინამდვილეში ერთმანეთს ფასების მატებაში ეჯიბრებიან.

— მგონი, კიდევ არის რაღაც აფთიაქები, რომლებიც იაფი მედიკამენტებით იწონებენ თავს.

— არ დაიჯეროთ, ეგენი ყველანი ერთმანეთის კონკურენტები კი არა, ფაქტობრივად, მონოპოლისტები არიან, რომლებმაც ნახეს უპატრონო ქვეყანა და გადახდისუუნარო ხალხს ჯიბიდან უკანასკნელ გროშებს გვაცლიან.

— კიდევ კარგი, შარშან პენსიები მაინც გაზარდეს, თორემ...

— გაზარდეს კი არა, — შემომიტრიალდა, — 25 ლარი მომიმატეს, წამალი და პროდუქტები კიდევ 50-ით გააძვირეს. ბოლოს და ბოლოს, ნამუსი აღარ არის? დღეს პენსიონერები ამ წამლებითღა ვცოცხლობთ და თუ, ვერ შევიძინეთ, რაღა უწამლობას მოვუკლივართ და რაღა შიმშილს.

— ექიმის მიერ გამოწერილ ყველა წამალს თუ ღებულობ?

— ყველას კი არა, იქიდან მესამედსაც ვერ ვყიდულობ. უნდა გამოვტყდე, ექიმისგან შეუთანხმებლად, ჩემი ჭკუით ვსაზღვრავ, იმ მრავალთაგან რომელი წამალი შევარჩიო (რა თქმა უნდა, სიიაფის მიხედვით).გუშინ გაზეთში ამოვიკითხე შპს „პსპ ფარმას“ დამფუძნებელ კახაბერ ოქრიაშვილს მარტო ამ ფირმიდან წლიურად 6 მილიონი დოლარის შემოსავალი აქვსო. მე მაგის მილიონები არ მშურს, მაგრამ ჩვენისთანა გაჭირვებულებზეც ხომ უნდა იფიქროს, როცა წამალს წარამარა გვიძვირებს?

— ეს ლარიც რო წარამარა უფასურდება?

— მაგან ხომ სულ მოგვიცარა ხელი. ეგ ჩვენი პირველი ფინანსისტი ხადური დის ამბით რომ გვაიმედებდა, ლარის რყევებმა არ შეგაშინოთ, ეგ მაგისთვის ცხვირის დაცემინებასავით არის და მალე გაუვლისო, ხო ვნახეთ, რა დამცხიკვებადაც დაგვიჯდა. ლარის უცაბედმა „გაციებამ“ წამალიც გაგვიძვირა, კარტოფილიც, ხილიც და უამრავი სხვა პროდუქტიც. ახლა ისევ შეაქცია „მცხიკვებამ“ ლარი, თანაც გართულებული ფორმით და კაცმა არ იცის, ეს ყველაფერი რით დამთავრდება.

„გამოამინდების“ ნიშანიც რომ არ ჩანს? ფარმაკომპანიები წამლების გაძვირების მიზეზად ლარის გაუფასურებას ასახელებენ, თუმცა, საპირისპიროს გვიმტკიცებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყაროს“ ხელმძღვანელი ზურაბ ფუტკარაძე. მისი თქმით, ლარი ძველ ნიშნულს რომ დაუბრუნდეს, მედიკამენტების ფასი მაინც არ შემცირდება. ეს არის ფარმაციის ბიზნესი, ვალუტის კურსის დაწევის პარალელურად, ფასები მყისიერად იზრდება, რაც შემდგომი რეაგირების გარეშე რჩება. ლარი თუ გამყარდა, მედიკამენტებზე ფასნამატი 10-15 პროცენტით მაინც დარჩება, — აცხადებს ფუტკარაძე.

აბა, რაში შეიძლება ვეძებოთ გამოსავალი? ამ ხელისუფლებამ თუ მოინდომა, არა მგონია, გამოსავლის მიგნება გაუჭირდეს. დიახ, „ოცნების“ მთავრობის სურვილი თუ იქნება, ფარმაცევტულ კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებაც არ გაჭირდება. მოისპობა კარტერული გარიგებები, წამლებზე დრაკონული ფასები, წარამარა ფასმატებები, რაც საშუალებას მისცემს უსახსროდ დარჩენილ მოსახლეობას შედარებით ხელსაყრელ ფასებში შეიძინოს მედიკამენტები. კაცმა რომ თქვას, „ქართული ოცნება“ ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა, ამის პირობას იძლეოდა კიდეც, მაგრამ მას შემდგომ, რაც მთავრობაში სკამები გაინაღდა, რატომღაც გაიტრუნა. კერძოდ, რომ იქადნიდა, მონოპოლიზმს ერთიანად ამოვძირკვავთო, ვერ შეასრულა. ჯერ იყო და კონკურენციის შესახებ კანონის მიღებას არ დაადგა საშველი, შემდეგ კი — ამ კანონის შესაბამისად, კონკურენციის სააგენტოს შექმნასა და ამოქმედებას. ფორმალურად, სააგენტო კი შეიქმნა, მაგრამ მის მიერ გაკეთებული საქმე დღემდე არავის უნახავს. ჩნდება ეჭვი, რომ ნაცების მიერ მონოპოლისტურ კომპანიებთან დანერგილი სამთავრობო გარიგებები ისევ ძალაში ხომ არ რჩება?!

შექმნილი მძიმე ვითარებიდან მთავრობამ სხვა გამოსავალი მოძებნა, ამბობს, მოსახლეობას გაჭირვებაში არ მივატოვებთ და წამლების შეძენაში ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით დავეხმარებითო. სუბსიდირება, რა თქმა უნდა, არ არის ურიგო საქმე, მაგრამ არც თუ მთლად კარგი გამოსავალია. ეს, ჯერ ერთი, ისედაც ღარიბ ბიჯუეტს მძიმე ტვირთად დააწვება, და მეორეც, გაჩნდება კორუფციის ახალი წყაროს შესაძლებლობა. კაცმა არ იცის სუბსიდირების სიაში რომელ წამლებს შეიტანენ და იქიდან თაღლითობის გზით ვინ რა თანხებს დაითრევს.

რა თქმა უნდა, გონიერი მთავრობა ამ გზას არ დაადგება და ხალხს გაუსაძლისი გაჭირვების ნიადაგ თმენას არ დაავალდებულებს. თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამას, მთავრობას, გინდაც, ნაცების თქმით, უნიათოს, ამის გამოცნობა, ვფიქრობ, არ უნდა გაუჭირდეს.

**ოთარ ხუციშვილი**

## კაკალ გულში

[illegible]

**● მოვითხოვ ნასვამზე და, განსაკუთრებით, პახმელიაზე მეუღლეებისგან დეტვინისზურლვიზაციას.**

**● მადლობა მინდა, მოვახსენო „მარიხუანის ლეგალიზაციის“ მომხრეთა მანიფესტაციის მონაწილეებს იმისათვის რომ, ამ დიდებული აქციით მათ ნათლად დაგვანახეს, თუ რატომ არ შეიძლება მარიხუანის ლეგალიზაცია და რა სავალალო შედეგებს მოჰყვება საბოლოოდ ამ ნარკოტიკის მოხმარება!**

**P. S. ზომიერი დეკრიმინალიზაციის მომხრე ვარ,ანუ ჯარიმები უნდა შენარჩუნდეს, ციხე კი ნამდვილად უნდა გამოირიცხოს!**

**● ნათლად ვიხილე, რა ემართებათ სიკეთის ხილვისას მომცრო ზომის კუდიანებს; გაჰკივიან, საოცარ ხორხისმიერ ხმებს გამოსცემენ, ჩლიქებს აბაკუნებენ. ახლა მივხვდი, რაში არის ნიკო ფიროსმანის იდუმალება და ძალა, დემონებს და სხვა ღამეულ არსებებს დევნის.**

**ბოროტსა სძლია ნიკალამ, არსება მისი გრძელია!**

**● „მიშისტების“ (სააკაშვილს და მშვილდაძეს ვგულისხმობ) ყურში საყურეგათხრილი ალექსი მაჭავარიანისა და ბობ მარლის „პრიჩოსკიანი“ ბიჭების მოთხოვნით დეკრიმინალიზირებული არც მარიხუანა მინდა, არც ჰეროინი და არც მეტადონი...**

**● გარემოს დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა მონაწილეობა მიიღო აქციაში „ეს მარტივია! იზრუნე გარემოზე!“**

**მინისტრმა კეთილმოწყობილი მოტორიანი ნავით, რამდენიმე თანამშრომლის თანხლებით გაიარა მტკვარზე და გაწმინდა იგი ნაგვისაგან. ყოჩაღ, გიგლა, მაგრამ არა მგონია, მარტივი იყოს მოტორიანი ნავის შოვნა, დაქირავება, თანამშრომელთა ატლილებ და შემდეგ „იმედზე“, „ქრონიკის“ 5-საათიან ეთერში მოხვედრა, გარემოზე ზრუნვის პროცესში...**

**● ბიძინა ივანიშვილი საქართველოს კიდევ 16 ფერწერულ ტილოს უბრუნებსო და ნელ-ნელა შეაპარეთ ნაცებს... აღშფოთების ნერწყვმა არ დაგვიხრჩოს საქართველოს ხვალინდელი დღე.**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

# შალვა ამონაშვილი: სიყვარულის კუნთების, ინდიგოს შვილებისა და ოჯახური საიდუმლოებების შესახებ

**ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის განათლების აკადემიის აკადემიკოსი შალვა ამონაშვილი Razumfest-ის საოჯახო ფესტივალის სტუმარი გახდა. ვბეჭდავთ ჩვენ სახელგანთქმულ პედაგოგთან ერთ-ერთი რუსული გაზეთის საუბარს იმის შესახებ, თუ როგორ ვასწავლოთ ბავშვებს სწავლა, მასწავლებლებს კი — სწავლება.**

## თანაგრძნობისა და სიყვარულის შესახებ

**— ბატონო შალვა, ბავშვობიდან მახსოვს ტელეგადაცემები თქვენი ექსპერიმენტების შესახებ საქართველოს სკოლებში, სადაც პროპაგანდას უწევდით ჰუმანურ პედაგოგიკას. როგორ მიხვედით ამასთან?**

— ექსპერიმენტი, რომელსაც მე ვაწყობდი ჩემს კოლეგებთან ერთად ექსპერიმენტული დიდაქტიკის გაერთიანებულ ლაბორატორიაში, 1962 წელს დაიწყო. მაშინ გაიხსნა პირველი საექსპერიმენტო კლასები, 1976 წლის ბოლოს კი, საქართველოს თითქმის ორი მესამედი მოიცვა ექსპერიმენტმა. ეს იყო სხვაგვარი მიდგომა ბავშვისადმი და ექსპერიმენტული პროცესისადმი. ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, თუ რა არის სულიერება სკოლაში და როგორ გავლენას ახდენს მასწავლებლის სიყვარული საგანმანათლებლო პროცესზე. საბჭოთა ხელისუფლების დროს ეს ყოველივე პედაგოგიკაში ვერ ეწერებოდა, პედაგოგიკის ვერც ერთ სახელმძღვანელოში ვერ ნახავთ სიტყვებს „სიყვარული“, „სიხარული“. ისინი ღირებულებას არ წარმოადგენენ პედაგოგიური მეცნიერებისათვის. ახლა ყველამ გაიგო, რომ სწორედ სიყვარული არის ყველაზე საუკეთესო საგანმანათლებლო პროცესის საფუძველი, თანაც სიყვარული ქმედითი.

ჩვენ თანდათანობით ვიძენდით ცოდნას და ვავლენდით ბავშვების უნარს, უსაზღვროობას, გვიკვირდა ეს. მაგრამ ის, რასაც ჩვენ ვაკეთებდით, გაუგებარი იყო პარტიული ბოსებისათვის. ისინი ამას ბურჟუაზიულ პედაგოგიკას უწოდებდნენ. ამიტომ ლაბორატორიას ხან ხურავდნენ, ხან ხელახლა ხსნიდნენ, მაგრამ ეს იყო ძალიან საინტერესო ცხოვრება.

**— რა გინდოდათ დაგენახათ ამ ბავშვებში?**

— გონების, აზრის, გრძნობების განვითარებულობა — როგორც პესტალოცი ამბობს, „გონება, გული და ხელები“. ვცდილობდით მიგვეცა მრავალმხრივი განვითარება, რომ ყოფილიყო „მუსკულატურა“, რისი დახმარებითაც მათ შეუძლიათ რაღაცის შექმნა.

სახლი რომ ააშენო ან ასწიო შტანგა, საჭიროა კუნთები, მაგრამ რომ გრძნობდე, აზროვნებდე, ფიქრობდე, გიყვარდეს, თვალ-ყურს ადევნებდე, განიცდიდე და თანაუგრძნობდე — ასევე საჭიროა „კუნთები“.

**— შესაძლებელია კი დღეს ასწავლო ისე, რომ გაითვალისწინო ყოველი მოსწავლის ინდივიდუალობა?**

—მერწმუნეთ, ეს ბევრად უკეთესია, ვიდრე აღზარდო ავტორიტარულად. ყვირილით, სიმკაცრით, დამცირებით, როდესაც ვიღაცას ნიმუშის სახით წარმოაჩენ. რატომ უნდა ვიყო ისეთი, როგორიც ვინმე სხვაა? მე უნდა ვიყო ისეთი, როგორიც დავიბადე, და წარვმართო ჩემი ცხოვრება იმის შესაბამისად, რაც მე ბუნებამ მაჩუქა. ავტორიტარულ პედაგოგიკაში ეს არაა. არადა, იმით აღსავსეა სკოლა ყაზახეთშიც. მაგრამ თქვენ გაქვთ ერთი შვება — თვითშემეცნების გაკვეთილები, რომლებიც იძლევიან შესაძლებლობას საბავშვო ბაღიდან სტუდენტის სკამამდე შეიმეცნო საკუთარი თავი და საკუთარი შინაგანი სამყარო. მინდოდა, რომ ასეთივე გაკვეთილები ყოფილიყო რუსეთსა და საქართველოში.

**— ვინ გახდნენ თქვენი მოწაფეები?**

— ერთხელ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენი მუშაობა შეამოწმა. ეს რთული 70-იანი წლები იყო. ველოდებოდი, რომ საბოლოოდ დაგვხურავდნენ. გამომიძახა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა იდეოლოგიის დარგში და მეკითხება: „რა გინდათ ბავშვებისგან? სკოლისგან?“ მე ვუპასუხე: „გულწრფელად? ამ ბავშვებს არ მოეწონებათ ის ცხოვრება, რომელსაც ჩვენ ახლა ვაშენებთ. მათ უნდა შეცვალონ ეს ცხოვრება“. ის მეუბნება: „დიახ, ძალიან შორს უმიზნებთ...“ მაგრამ სკოლა არ დაუხურიათ.

**— ესე იგი, თქვენმა ბავშვებმა საქართველოში შემეცნების რევოლუცია მოახდინეს?**

— დიახ, ამ თაობის ხალხი გამოდიოდა მოედნებზე. ახლა კი ჩვენს წინაშე სხვა ამოცანა დგას — შევქმნათ ისეთი ბავშვები, რომლებიც შეიძენენ სულიერებას ადამიანთა გაერთიანებისათვის ხალხის საკეთილდღეოდ. ეს უფრო მძიმე სამუშაოა, ვიდრე რევოლუცია. რევოლუცია შეიძლება ერთ ღამეში მოახდინო. გონებისა და გრძნობების კუნთებისათვის ათეულობით წლებია საჭირო.

ის ბავშვები კი დღეს გახდნენ დეპუტატები და მინისტრები, პოლიტიკოსები და მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, უბრალოდ, ძალიან კარგი ადამიანები.

## ბიჭები — მარჯვნივ, გოგონები — მარცხნივ?

**— არის სხვაობა იმაში, თუ როგორ უნდა აღვზარდოთ გოგონა ან ბიჭი?**

— რასაკვირველია. ჯერ ერთი, თავად ბუნება გვიკარნახებს. მე არ ვარ დაცალკევებული სწავლების მომხრე, თუმცა, ვასწავლობდი ჩვეულებრივ სკოლაშიც, ვაჟთა გიმნაზიაშიც, შემდეგ მასწავლებლად ვმუშაობდი გაყოფილ სკოლაშიც და გაერთიანებულშიც. მომავალი მამაკაცები და ქალები, როგორც ერთიანი მთლიანის ნაწილები, ხელოვნურად არ უნდა იყვნენ დაცალკევებულები. უბრალოდ, ისინი უნდა აღზარდო სხვადასხვაგვარად. გოგონებში უნდა განავითარო სინაზე, დედის, ცოლის გრძნობა. ქალი ხომ მამაკაცის შთამაგონებელია, უიმისოდ ის უგუნურ არსებად გადაიქცევა. ქალი უნდა გახდეს ნაპერწკალი, ჰყავდეს ოჯახი მთლიანობაში.

რაც შეეხება ბიჭს, აქ უკვე მამაკაცური ღირსება, მამაკაცის სიტყვა და სიბრძნე — ეს უკვე განსაკუთრებული რამეა. მე არა ვარ მამაკაცების მიერ ქალების დათრგუნვის მომხრე, თუმცა, წესრიგს მამაკაცი უნდა ედგეს სათავეში. ამასვე მოითხოვს აღზრდაც. და კარგი მასწავლებლები ამას აკეთებენ.

## იკითხო — ნიშნავს ხედავდე ქვეტექსტს

**— დღეს ბავშვები ცოტას კითხულობენ. ბევრ მშობელს ეს გულს სტკენს. როგორ მოვიქცეთ?**

— არის კლასიკური, სასკოლო მიდგომა, როდესაც უნდა იკითხო და შემდეგ მოუყვე მასწავლებელს, უპასუხო შეკითხვებს. ასე აიძულებენ იკითხონ ფიზიკა, გეოგრაფია, ისტორია, ლიტერატურა. აი როგორი დამოკიდებულება აქვს ბავშვს ამ გმირებთან, მოეწონა თუ არა მას რომანი, საინტერესოა ეს? ამის შესახებ არ ეკითხებიან. ზოგჯერ თავად ლიტერატურის მასწავლებლები უნელებენ ბავშვებს ინტერესს კითხვისადმი, საგნის სწავლას აქცევენ კითხვებად და პასუხებად, შემდეგ კი საკონტროლო სამუშაოებად შაბლონის მიხედვით. და ბავშვები უმალვე შორდებიან ასეთ კითხვას და გადადიან ინტერნეტში, საინფორმაციო კითხვაში. ეს კი არ იძლევა სულიერი სიმდიდრის იმ მდგომარეობას, რასაც წიგნთან ერთად იძენ.



მაგრამ არის სხვა მიდგომა, როდესაც მასწავლებელი ეხმარება ბავშვს ჩაიხედოს ნაწარმოების სიღრმეში, მის ქვეტექსტში. ლიტერატურა ხომ იწერება ქვეტექსტებისათვის და არა ტექსტისთვის. დიდხანს უნდა იფიქრო, თუ, მაგალითად, რა ჰქონდა მხედველობაში ჩინგიზ აიტმატოვს, როდესაც ამა თუ იმ გმირს წარმოგვიჩენდა? აი, ასე რომ ვასწავლიდეთ კითხვას, როდესაც პიროვნებაც ვითარდება, მაშინ ჩნდება პიროვნული დამოკიდებულებაც ნაწარმოებისადმიც, წიგნებისადმი გემოვნებაც.

**— თქვენ როგორღაც ბრძანეთ, რომ აქსელერატორების თაობამ მოახდინა რევოლუცია ტექნიკაში და დაივიწყა კულტურის შესახებ. დღეს როგორღა შევუხამოთ ერთმანეთს კულტურა და ცივილიზაცია, როდესაც ასეთი ტექნოლოგიური გარღვევა მიმდინარეობს?**

— 60-იანი წლების აქსელერატორებმა მართლაც გადაატრიალეს სამყარო. კარგი გაგებით. და ჩვენ მივიღეთ კომპიუტერები, ინტერნეტი, მობილური ტელეფონები. აქსესუარებმა ძალიან წასწიეს წინ ცივილიზაცია, მაგრამ ეს არაა კულტურა. ცივილიზაცია — ესაა თქვენი მობილურები, კულტურა კი — ცივილიზაციისადმი დამოკიდებულება. როდესაც ამ ამბებიდან გამოვყოფ საუკეთესოს ჩემი სულის, საკუთარი ზნეობის განვითარებისათვის, სხვების დახმარებისთვის. აი მოდის ახლა თაობა, რომელსაც სინათლის ან ინდიგოს შვილებს უწოდებენ. მეცნიერებას არ შეუძლია დაადასტუროს, რომ შვილები განსაკუთრებულები არიან, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ბევრი უძლიერესი ნიჭი იბადება. მეორე მხრივ, ვხედავთ, რომ ეს ნიჭი ახლა იღუპება. არასოდეს ყოფილა ამდენი ნარკომანი, დამრღვევი, ავადმყოფი, თვითმკვლელი...

სხვადასხვა მიზეზთა შორის არის მთავარი: ესენი სხვა ბავშვები არიან, მისწრაფებანიც მათ სხვაგვარი აქვთ, და ისინი სხვაგვარ მიდგომას ითხოვენ. ჩვენ კი მათ „ვფარავთ“ ავტორიტარული პედაგოგიკით. ისინი მის ქვეშ ფრთხიალებენ, მოწყენილები არიან, ჩვენ კი მათ ვსჯით... მაგრამ ეს ბავშვები მაინც, სულ ერთია, გაიმარჯვებენ.

**— გწამთ ღმერთი?**

— მე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, რომელიც ბავშვობაში მომნათლეს. ჯვარიც დავიწერე. თუმცა, წყნარად მორწმუნე ვარ, არ ვარ ფანატიკოსი. ღრმად ვსწავლობ ისტორიას, ვიცი არა მხოლოდ ახალი აღთქმა, არამედ ყურანიც, ჯატაკი, სხვა ტექსტები და განა იმისთვის ვსწავლობ, რომ ერთმანეთს შევადარო და უკეთესი ამოვირჩიო, არამედ რომ უფრო მდიდარი გავხდე.

## ცოლი და ქმარი — ეს პროფესიაა

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ქალი უნდა იყოს შთამაგონებელი. როგორ აღგაფრთოვანებდათ მეუღლე?**

— ჩემი ცოლი ბრძენი ქალი იყო, ხოლო, თუ ჯოხს გადაღუნავდა, ყოველთვის მეუბნებოდა. ჩემს ყველა იდეას ვაცნობდი მას, და თუ ის ამას მოიწონებდა, ეს ნიშნავდა, რომ სწორ გზას ვადგავარ. არასოდეს დამავიწყდება, როდესაც ჩემი ერთ-ერთი ბოლო წიგნი დავწერე, ვუჩვენე მას. ის თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ მითხრა: „მოდი, ამას მე ავაწყობ“. მე ვთხოვდი, ეს შემდეგისთვის გადაედო, როდესაც უკეთ იქნებოდა. ის კი თავისაზე იყო. სამი დღის შემდეგ, როდესაც სამუშაო დაამთავრა, შუბლზე მაკოცა, როგორც ბავშვს და მითხრა: „თურმე, შენ დეტექტიური ჟანრის ნიჭი გქონია“. ასეთი ამბები აღმაფრთოვანებდნენ და ასეთი შემთხვევები ბევრი იყო. როდესაც ცდილობდნენ დაეკეტათ ექსპერიმენტული ლაბორატორია და შეშფოთებული ვიყავი, რა უნდა მეკეთებინა ამის შემდეგ, მითხრათ: „თუ ლაბორატორიიდან წამოხვალ, დანებდები, მეც მიგატოვებ!“ ჩემთვის ეს მაშინ დიდ შთაგონებად იქცა.

**— მას შეეძლო წასულიყო?**

— არ ვიცი. მაგრამ მე ოჯახს, სიყვარულს მეტად ფრთხილად ვეკიდებოდი, ჩემში ვზრდიდი ამ სიყვარულს, ამ ურთიერთობებს, ამ იოგს, შეიძლება ითქვას, არასოდეს, თუნდაც ფიქრში, არ დამიშვია, რომ ვერ გავამართლებდი მის იმედებს. ამიტომ მთელი ცხოვრების მანძილზე ვზრდიდი ჩემში ქმარ-იოგას.

**— რისგან ირღვევიან ოჯახები?**

— საერთოდ, ვინ ქმნის ოჯახებს? ახალგაზრდები! მაგრამ მათ აქვთ ერთი სისუსტე: ისინი ზოგჯერ ერთმანეთისგან ვერ განასხვავებენ სიყვარულს სურვილისაგან ან შეყვარებულობისგან. ხშირად უყვარდებათ თავიანთ წარმოდგენებში, შემდეგ კი ეს წარმოდგენა ვერ უძლებს რეალურ ურთიერთობებს. მამაკაცი წბილდება ქალში, ქალი — მამაკაცში.

მაგრამ დედობა და მამობა, ქმარი და ცოლი უნდა აღზარდო. ოჯახის შექმნა — კულტურის უმაღლესი მოვლენაა. იყო ქმარი და ცოლი — ეს პროფესიაა.

**— 84 წლის ასაკში მეტად მხნედ გამოიყურებით. რაშია საიდუმლო?**

— არანაირი საიდუმლო არაა. ჩემთვის ასე ვხსნი. მთელი ცხოვრების მანძილზე ვაკეთებდი იმას, რაც მინდოდა მეკეთებინა, რაც მიყვარდა. 1951 წლიდან, როდესაც სკოლაში მასწავლებელი გავხდი, მეტის არაფრის კეთება არ მინდოდა. მეორე მიზეზი: ჩემი ცოლიც პედაგოგი აღმოჩნდა, ჩემი თანამოაზრე. ერთად ვეძებდით ჩვენ გზას ცხოვრებაში. პრაქტიკულად დავები არც გვქონია. ნერვები შენარჩუნებული მაქვს. მესამე მიზეზი — ესაა ის, რომ ჩემი ცოლი ძალიან ზრუნავდა ჩემთვის. მახსოვს, მქონდა ხერხემლის რთული ანთება. ადგომაც, სიარულიც ძალიან მიჭირდა. და მან მე წამიყვანა ალმაატაში ექიმთან. ის მე ძალიან დამეხმარა.

**— როგორი ურთიერთობა გქონდათ ძლიერებთან ამა ქვეყნისა? პოულობდით მათთან საერთო ენას?**

— თავდაპირველად ურთიერთობები იყო მეტად რთული, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ წარმოდგენა, თუ რას წარმოვადგენდი ჩემი პედაგოგიკით. მას მივყავდით არა კომუნიზმისკენ, არამედ ადამიანის სულისკენ. როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გახდა, მისი ერთ-ერთი პირველი ვიზიტი შედგა ჩვენს ინსტიტუტში და ჩვენს სკოლაში. გაკვეთილებზე იჯდა, ესაუბრა მასწავლებლებს და თქვა: „განავითარეთ ეს მიმართულება!“ და ჩვენ შეგვეშვნენ.

გამიმართლა გორბაჩოვის მეუღლესთან რაისა მაქსიმოვნასთან. მან თავად მიმიწვია ჩაიზე. როდესაც გაიგო ჩემი მუშაობის შესახებ, მომცა თავისი ტელეფონი და მითხრა: „თუ გაგიჭირდებათ, დამირეკეთ?“

## ყველაზე ძნელი გაკვეთილი

**— თუ გითქვამთ უარი რაიმე იდეაზე?**

— დიდხანს ვწვალობდი, ვფიქრობდი, როგორ ჩამოვშორებულიყავი მატერიალურ აზროვნებას, რომელსაც ბავშვობიდან მინერგავდნენ ოჯახი და საზოგადოება. ეს უკანასკნელი მატერიალიზმში იყო ჩაფლული. და სხვა აზრები არც მომდიოდა. თუმცა, ბებიას ლოცვებით რაღაცისკენ მიბიძგებდნენ, თანდათან მივდიოდი უფალთან. ჩავუღრმავდი კლასიკურ პედაგოგიკას და ვხედავდი, რომ ყოველგვარი კლასიკა რწმენას ემყარება. თუ რაიმეს შექმნა გსურს, უნდა გჯეროდეს საკუთარი თავისა და საკუთარი საქმისა, მიიღებ რაღაც უკეთესსაც. ეს კი ძალიან რთულია, შეიძლება იყვირო სულისკვეთებასა და სულზე, იცემო გულში მჯიღი, მაგრამ სულიერი ვერ იყო.

**— ყველაზე რთული შემთხვევა თქვენს პედაგოგიურ პრაქტიკაში...**

— როდესაც ახალგაზრდა პედაგოგი ვიყავი, მივედი ბავშვებთან, მათ კი ჩემი გაკვეთილი არ მოეწონათ, მაშინ დავიწყე საუბარი რაღაც სხვა რამეზე. მთელი ღამე არ მძინია, ვფიქრობდი, თუ რა უნდოდათ მათ. მაგრამ ეს წარუმატებლობა დამეხმარა გამეგო, რომ ბავშვებს გაკვეთილებზე სიხარული სჭირდებათ. თუ ეს არაა, მაშინ შემეცნებაც უფრო ძნელი იქნება.

# გაიღიმე, პატარავ, „იავნანა“ დაგეხმარება!

არც კი მახსოვს მერამდენედ ვარ გახარებული და გაოცებული საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ კონკრეტული ეროვნულ-საკაცობრიო საქმიანობით.

**ეროვნული იმიტომ, რომ ფონდის მიზანი ერთ-ერთი უმთავრესი ქართული სატკივარის — მზრუნველობას მოკლებული ბავშვების ჭირ-ვარამის შემსუბუქებას და იმათ აღზრდა-განათლებას ეხება.**

**საკაცობრიო იმიტომ, რომ, ფონდის დამაარსებელმა და თავკაცმა პაატა ბურჭულაძემ სცენის და ეკრანის მსოფლიო დონის ვარსკვლავები და საქართველოს ყველაზე პოპულარული ანსამბლები თუ ინდივიდუალური შემსრულებლები ამ ფონდისკენ შემოაბრუნა და მოწიწებით ქუდი მოახდევინა. ამასთანავე, მარტოოდენ ქველმოქმედად დაბადებული ბიზნესმენები კი არა, ზოგჯერ ზედმეტად „ძუნწი“ საქმოსნებიც გააკეთილშობილა და ბავშვთა დასახმარებლად გული აუჩუყა...**



საქართველოს ქრონიკულად ღარიბი მთავრობის და ხალხის დიდმა ნაწილმა ბოლო 10 წლის განმავლობაში, რაღაც ფორმით, შესაძლებლობის ფარგლებში, მხარი აუბა დიდი მამულიშვილის და მომღერლის მოწოდებას და დახმარების ხელი გაუწოდა ფონდს.

უფრო ზუსტად, ფონდის მისაბაძი საქმიანობის გამო ხელი გაუწოდა დაჩაგრულ და განსაკუთრებით შეჭირვებულ პატარებს — ქვეყნის ჭეშმარიტ მომავალს და იმედს.

„იავნანას“ კონცერტები და შემოქმედებითი საღამოები ხშირად მარათონის ხასიათისაა და მას მსოფლიოს მასშტაბით „უსახელო გმირებიც“ ეხმიანებიან, აი ისეთნი, საკუთარ სახელსა და გვარს რომ მალავენ თანხის სიდიდის ან, პირიქით, სიმცირის გამო... არადა, მილიონს ერთი თეთრიც რომ აკლდეს, მილიონი აღარ იქნება... პაატა ბურჭულაძე ყველა მათგანს გულწრფელობით (ზოგჯერ ცრემლითაც!) აღსავსე მადლობას უთვლის.

აი, რატომ ვარ ფონდ „იავნანას“ შემოქმედებითი კოლექტივის (აღმასრულებელი დირექტორი გურამ ახალაია) და მისი თავკაცის ორგანიზატორული ნიჭით აღფრთოვანებული — **2 ივნისს ფონდმა რიგით 110-ე საქველმოქმედო კონცერტი მოაწყო!**

ძვირფასო მკითხველო, კიდევ ერთხელ აღივსეთ მიწიერი და ზეციური სიყვარულით და გულით გაიხარეთ ამ ერთი წინადადების წაკითხვით: **ქართული და მსოფლიო საზოგადოებების ძალისხმევით საქართველოში მცხოვრები მშობლიურ მზრუნველობას მოკლებული 5200 ბავშვიდან დღეს 5115 ოჯახურ გარემოში ცხოვრობს, ბავშვთა სახლებში მხოლოდ 85 ბავშვი რჩება.**

ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის ეს ნამდვილი მონაპოვარია.

ფონდმა „იავნანამ“, დღიდან დაარსებისა 470 000 ლარის ქველმოქმედება გასწია, სოციალურად დაუცველი 109 მრავალშვილიანი ოჯახი ერთ ჭერქვეშ დააბინავა, ათასობით მზრუნველობამოკლებულ ბავშვს სხვადასხვა წვრილმან-მსხვილმანი ოცნება აუხდინა, სულ 7000-ზე მეტ ბავშვს გაუწოდა დახმარების ხელი.

ფონდმა „იავნანამ“ სწავლის საფასური ნაწილობრივ გადაუხადა 743 სტუდენტს.

2008 წლის სექტემბრიდან 2014 წლის იანვრამდე ფონდი ყოველთვიურ დახმარებას ურიცხავდა რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაობლებულ 133 ბავშვს. მთლიანმა თანხამ 633.400 ლარი შეადგინა. დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი დიტო რაზმაძე, რომელ-



საც გორის დაბომბვის დროს დედ-მამა დაეღუპა, „იავნანას“ შვილობილია და სკოლის დამთავრების შემდეგ, უმაღლეს განათლებას ევროპაში მიიღებს...

2 ივნისის კონცერტის ბოლოს „იავნანას“ ერთ-ერთმა მეგობარმა, ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა გოჩა დარჩიაშვილმა ხაშურელი გამცემლიძეების 8-შვილიან ოჯახს მათთვის შეძენილი სახლის გასაღები გადასცა.

**2 ივნისი იტალიის დამოუკიდებლობის დღეა. საქართველოს და ფონდ „იავნანას“ მეგობარი, იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ქალბატონი ფედერიკა ფავი გულითადად მიესალმა დიდ საკონცერტო დარბაზში შეკრებილ მაყურებელს და 10 000 ევრო გადასცა ფონდს.**

ქართველებმა კი, იტალიისა და საქართველოს მეგობრობის აღსანიშნავად იტალიური სიმღერა დააგუგუნეს.

ანსამბლმა „რუსთავმა“ ორმოქმედებიანი, განახლებული პროგრამა წარმოადგინა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მსგავსი ეროვნული, გამოკვეთილად ხალხური, ტრადიციების ერთგული, მაღალპროფესიული შემოქმედებითი კოლექტივი ჩვენ არა გვყავს. საქართველოს ყველა მხარის (აფხაზეთის, აჭარის, ოსეთის, სამეგრელოს, სვანეთის, გურიის, იმერეთის, ქართლ-კახეთის, რაჭის და მთიანეთის) ხალხურ სიმღერებს და ცეკვებს მართლაც არაფერი შეედრებოდა. ქართული ხალხური ფოლკლორის შედევრს „ჩაკრულოს“ კი ანსამბლ „რუსთავის“ დარად, კარგა ხანია, ვერავინ მღერის.

ანსამბლმა „რუსთავმა“ 400-ზე მეტი კონცერტი გამართა საზღვარგარეთ და ქართული სიმღერა-გალობა-ქორეოგრაფია გააცნო უცხოელ მაყურებელს. ამერიკელები და იაპონელებიც რომ ქართულად ამღერდნენ, ძირითადად, „რუსთავის“ დამსახურებაა...

„იავნანას“ ლოცვა-კურთხევით ჩატარებული კონცერტის შემდეგ ფრიად კმაყოფილნი ჩანდნენ „რუსთავის“ თავკაცები — ანზორ ერქომაიშვილი და ფრიდონ სულაბერიძე.

მაყურებელთა ტაშის გრიალში პაატა ბურჭულაძემ ძლივს გაგვაგონა:

**მორიგი საქველმოქმედო კონცერტი შემოდგომაზე სტრასბურგში გაიმართება!, გმადლობთ!, ნახვამდის!**

...აცხოვნე უფალო და შეიწყალე ღმრთივდაცული ერი ჩვენი და ღირსეული მამულიშვილნი მისნი...

**სპარტაკ ქოზულია**





მღერის და ცეკვავს ანსამბლი „რუსთავი“

## ინფორმაცია

### საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ამერიკაში აღნიშნეს

**აშშ-ში საქართველოს საელჩომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა.ღონისძიებაზე დამსწრე სტუმრებს აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა არჩილ გეგეშიძემ და საპატიო სტუმრებმა სიტყვით მიმართეს.**

**მიღებას ესწრებოდა 600-ზე მეტი სტუმარი, მათ შორის, აშშ-ის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს წევრები, ვაშინგტონში აკრედიტებული სხვა ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლები, აკადემიური სფეროს მოღვაწეები, საქართველოს ამერიკელი მეგობრები და აშშ-ის ქართული დიასპორის წევრები.**

**საქართველოს ელჩმა სტუმრებს მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა და ქვეყნის დამოუკიდებლობისა და საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.**

**ღონისძიების საპატიო სტუმარმა, აშშ-ის საზღვაო ძალების მდივანმა რეი მეიბუსმა თავის სიტყვაში ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს მიერ გაწეულ მნიშვნელოვან წვლილზე. ნიუ-იორკის შტატის დემოკრატი კონგრესმენი ენგელი თავის გამოსვლაში საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხს შეეხო და აღნიშნა, რომ მისი ნებით, ალიანსის წინაშე არსებული დამსახურებების გამო, საქართველო ალიანსის წევრი ქვეყანა დიდი ხნის წინ გახდებოდა.**

### ევროპული დიპლომი ქართულ ნაკრძალს

**ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებით, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს ევროპული დიპლომი გადაეცა. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს განათლებაზე, კულტურაზე, სპორტზე, ახალგაზრდობასა და გარემოს დაცვაზე მომხსენებელი ჯგუფის (GR-C) გადაწყვეტილება ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისთვის ევროპული დიპლომის გადაცემის შესახებ.**

**ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები (ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი, და სამი ბუნების ძეგლი: ტახტი-თეფას ტალახის ვულკანი, ალაზნის ჭალის ტყე და არწივის ხეობა) ევროპული დიპლომის კანდიდატად დაცული ტერიტორიების სააგენტომ 2014 წლის დასაწყისში წარადგინა. აღნიშნული დიპლომი 5 წლის ვადით გადაეცემა ევროპაში დაცულ ტერიტორიებს, რომლებიც გამოირჩევიან სამეცნიერო, კულტურული ან ესთეტიკური ღირებულების თვალსაზრისით და წარმოადგენენ ბუნების საუკეთესო კონსერვაციის მაგალითს.**

**ევროპული დიპლომი ევროპული ქვეყნების 73 დაცულ ტერიტორიას აქვს მინიჭებული.**

### ჩვენთან ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შექმნით მსოფლიო ბრენდები დაინტერესდნენ

**„ტექნოლოგიურზე ძალიან აქტიურად ვმუშაობთ. პროცესი მიდის და მე მგონია, რომ აუცილებლად მივიღებთ შედეგს. ჩვენ უკვე ისეთ დონეზე ვართ, რომ ბევრმა საინტერესო უნივერსიტეტმა გამოაცხადა თავისი პოზიცია, რომ სურვილი აქვთ ფილიალი გახსნან საქართველოში. არ დაგიმალავთ, უკვე ბრენდებში ვეძებთ, რომ მოვახერხოთ და საუკეთესო ბრენდი ჩამოვიყვანოთ საქართველოში“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.**

**ინტერპრესი**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

**ობიექტი № 1**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 13 200 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხურის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 296 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 229,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 659 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 5 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 6 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 6 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 6 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 2**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 5 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 6 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 6 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 6 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 25** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღისეულით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ |
| | | შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბიას მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ხობისწყალზე „ხობის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია – $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 120 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბიას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 16 090 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 609 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 8 245 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 5 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 6 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 6 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 6 ივლისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

# ა უ ქ ც ი ო ნ ს

**მის ბალანსზე რიცხული 2 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვის მიზნით**

| № | უნიკალური კოდი | აქტივის დასახელება | სახელმწიფო ნომერი | ადგილმდებარეობა | გამოშვების წელი | საწყისი სააუქციონო ფასი (ლარი) | ბიჯის ოდენობა | "ბე"-ს ოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 1 | 003736 | გაზ 3110 | LLK-364 | თბილისი, ნაკადულის 2ა | 2000 | 750 | 40 | 80 |
| 2 | 006808 | ა/მანქანა გაზ-31029 DDD-455 | DDD-455 | ქუთაისი, იმერეთის ქუჩ.ს/ცენტრი | 1994 | 325 | 20 | 40 |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ www.gse.com.ge და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (www.eauction.ge) ინტერნეტ-გვერდებზე.
ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის –2-510-281 მობილურის 577 240-233

## ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

# ა უ ქ ც ი ო ნ ს

**მის ბალანსზე რიცხული 7 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვის მიზნით**

| № | უნიკალური კოდი | აქტივის დასახელება | სახელმწიფო ნომერი | ადგილმდებარეობა | საწყისი სააუქციონო ფასი (ლარი) | ბიჯის ოდენობა | "ბე"-ს ოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 3 | 4 | 5 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | 003702+ | ა/მ გაზ-2107 | ADE-079 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 600 | 15 | 60 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |
| 2 | 003730+ | ა/მ გაზ-3110 | GIC-351 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |
| 3 | 003731 | ა/მ გაზ-31029 | AMA-751 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |
| 4 | 003732+ | ა/მ გაზ-31110 | VVA-909 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 1800 | 40 | 180 | მანქანა საჭიროებს ძრავის სახურავის რემონტს |
| 5 | 003734+ | ა/მ გაზ-3110 | ADO-056 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |
| 6 | 008415+ | ა/მ ვაზ-21083 | ACR-866 | ქ. თბილისი, ზარათაშვილის #2 | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს ძრავის, სავალი ნაწილების და გადაცემათა კოლოფის რემონტს |
| 7 | 008364+ | ა/მ გაზ 3110 | DAZ-392 | ქ. ზუგდიდი, აჭარა-გურია-სამეგრელოს რეგ. ს/ცენტრი | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ www.gse.com.ge და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (www.eauction.ge) ინტერნეტ-გვერდებზე.
ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის –2-510-281 მობილურის 577 240-233

## ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

# ა უ ქ ც ი ო ნ ს

**მის საკუთრებაში არსებული 10 ერთეული მიწის ნაკვეთის გაყიდვის მიზნით.**

| # | მიწის ფართი კვ.მ | მისამართი | საკადასტრო კოდი | საწყისი სააუქციონო ფასი (დღგ-ს ჩათვლით) | „ბიჯის“ ოდენობა | „ბე“-ს ოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 266 | დუშეთის რ-ნი, სოფელი აში | 71.63.58.081 | 25 596 | 500 | 2500 |
| 2 | 1 300 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.083 | 7 800 | 150 | 800 |
| 3 | 4 831 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.089 | 28 986 | 600 | 3000 |
| 4 | 106 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.098 | 424 | 10 | 40 |
| 5 | 106 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.113 | 424 | 10 | 40 |
| 6 | 142 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.092 | 568 | 10 | 60 |
| 7 | 114 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.096 | 456 | 10 | 45 |
| 8 | 114 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.099 | 456 | 10 | 45 |
| 9 | 66 | დუშეთის რ-ნი, სოფელი აში | 71.63.58.116 | 264 | 5 | 25 |
| 10 | 114 | დუშეთის რ-ნი, სოფელი ქვემო აში | 71.63.58.097 | 456 | 10 | 45 |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ www.gse.com.ge და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (www.eauction.ge) ინტერნეტ-გვერდებზე.
ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის –2-510-281 მობილურის 577 240-233

**ალიან-ჩალიანი**

## დედოფალი ელისაბედ II იუბილარია

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გაერთიანებული სამეფოს დედოფალს ელისაბედ II დაბადების დღეს ულოცავს.

„ჩემთვის დიდი პატივია, გადმოგცეთ ჩემი გულითადი და წრფელი მოლოცვა თქვენს იუბილესთან დაკავშირებით.

ამ მნიშვნელოვან დღეს, მოხარული ვარ, გამოვხატო ჩემი განსაკუთრებული მადლიერება ჩვენი ქვეყნების პარტნიორობისა და თანამშრომლობისათვის. მწამს, რომ საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული ისტორიული და მეგობრული კავშირები კიდევ უფრო გაძლიერდება და გაღრმავდება ორივე ერის წარმატებისათვის.

ვიყენებ ამ შესაძლებლობას და მსურს, კიდევ ერთხელ მადლობა გადაგიხადოთ საქართველოს დემოკრატიის, დამოუკიდებლობის, ასევე ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფების ურყევი მხარდაჭერისათვის.

თქვენო უდიდებულესობავ, ნება მომეცით, გისურვოთ ბედნიერება, ჯანმრთელობა და წარმატება თქვენი ქვეყნისა და ხალხის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის“, — ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის მისალოც წერილში.

## ლატვიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი რაიმონდს ვეიონისს ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევას ულოცავს.

„ჩემთვის დიდი პატივია, გულწრფელად მოგილოცოთ ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევა. მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობა და მჭიდრო თანამშრომლობა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით წარმატებით ვითარდება. მტკიცედ მწამს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოსა და ლატვიის რესპუბლიკას შორის არსებული ხანგრძლივი მეგობრობა და თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდება და გაღრმავდება ჩვენი ერების საერთო კეთილდღეობისათვის. მინდა, გამოვხატო თქვენდამი მადლიერება საქართველოს დემოკრატიის, დამოუკიდებლობის, ასევე ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფების ურყევი მხარდაჭერისათვის. ვიყენებ ამ შესაძლებლობას და მსურს, მოგიწვიოთ საქართველოში. მოხარული ვიქნები გიმასპინძლოთ თბილისში, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავებას. თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ მიიღოთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა და საუკეთესო სურვილები თქვენს მომავალ საქმიანობაში წარმატებისათვის, ლატვიელი ხალხის მშვიდობისა და საკეთილდღეოდ“,— აღნიშნულია მილოცვაში.

## თბილისის აეროპორტს რუსთაველის სახელს მიანიჭებენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ინიციატივით გამოდის, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტი რუსთაველის სახელობის აეროპორტი გახდეს.

„საკითხი ეხება თბილისის აეროპორტს და მის სახელს. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ვერ მოხდა თბილისის აეროპორტისთვის სახელის შერჩევა და გადარქმევა, ალექსეევკა, რაც ბოლო წლების განმავლობაშია დამკვიდრებული, დღემდე სამწუხაროდ ასეა. აქედან გამომდინარე, გაჩნდა იდეა. მე მინდა, ეს უბრალოდ შევთავაზო თბილისის საკრებულოს და მერიას, რომ იმსჯელონ ამ საკითხზე. იდეა არის შემდეგი, რომ თბილისის აეროპორტს დაერქვას რუსთაველის სახელობის აეროპორტი. მოგეხსენებათ, რომ მომავალ წელს რუსთაველის 850 წლის იუბილეა. ჩვენ ვაპირებთ ამასთან დაკავშირებით შევქმნათ სპეციალური სახელმწიფო კომისია“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## საცხოვრებელი ფართი კიდევ 269 დევნილ ოჯახს დაუკანონდა

შესაბამისი გადაწყვეტილება მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე მიიღო. ოფიციალური ინფორმაციით, 269 ბინიდან 197 ბინა თბილისში მდებარეობს, 23 — ფოთში, 30 — ზუგდიდში, 14 — ბათუმში და 5 — გორში.

„ჩვენ ბინების დიდი ნაწილი გავარემონტეთ და ისე გადავეცით მათ, ასე რომ პროგრამა, რომელიც გულისხმობს 1 სექტემბრამდე დაახლოებით 10 000 დევნილისთვის ბინის დაკანონებას, სრულდება და დევნილები ხდებიან ჩვეულებრივი მესაკუთრეები“, — განაცხადა მინისტრმა სოზარ სუბარმა.

ინტერპრესი

**თაოზა**

# მოგება მოგებაა



**საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა ევრო 2017-ის შესარჩევი ტურნირი გამარჯვებით დაიწყო: ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილმა გუნდმა სან მარინოში მასპინძლებს 3:0 მოუგო.**

ნიკა კაჭარავას დუბლის და გიორგი პაპუნაშვილის გვიანი გოლის გარდა, ქართველ ფეხბურთელებს არაერთხელ შეეძლოთ სანმარინოელთა მეკარის ბენედეტინის კარის დალაშქვრა, თუმცა ოთარ კაკაბაძემ, ლუკა კიკაბიძემ, საბა ლობჟანიძემ, გიორგი აბურჯანიამ და იმავე პაპუნაშვილმა ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს.

ჩვენი გუნდი მომდევნო საკვალიფიკაციო მატჩს 3 სექტემბერს ხორვატეთში ჩაატარებს.

**საქართველო:** ბექა ქურდაძე, ოთარ კაკაბაძე (კაპ), ლაშა დვალი, გიორგი გადრანი, დავით უბილავა, მათე ცინცაძე, გიორგი აბურჯანია, გიორგი პაპუნაშვილი, საბა ლობჟანიძე (ლევან შენგელია 88), ნიკა კაჭარავა (დათო დარციმელია 86), ლუკა კიკაბიძე (გიორგი ერისთავი 61).

**მწვრთნელი:** ალექსანდრე ჩივაძე.

**გაფრთხილება:** ლაშა დვალი, მანუელ ბატისტინი, გიორგი პაპუნაშვილი.

**მსაჯები:** ე.იორგი, რ.ჩოკაი, ი.ტარტარაი (ალბანეთი).

**გიორგი შოთაძე**

**მოვლენის წინ**

# კიელინი ტრავმირებულია



**იტალიის ჩემპიონ ტურინის „იუვენტუსს“ ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ წამყვანი მცველი ჯორჯო კიელინი დაუშავდა. 30 წლის ფეხბურთელმა მარცხენა ფეხზე დაზიანება ბოლო ვარჯიშზე მიიღო. იტალიელ მოთამაშეს გამოკვლევა დღეს ჩაუტარდება და მისი ტრავმის ხარისხიც დადგინდება.**

სამაგიეროდ, „ბებერ ქალბატონს“ მეორე გამოცდილი მცველი ანდრეა ბარძალი დაუბრუნდა, რომელმაც რამდენიმედღიანი უქმობის შემდეგ ვარჯიში განაახლა.

„იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში 6 ივნისს ბერლინში კატალონიის „ბარსელონას“ დაუპირისპირდება.

**კოზა კოზახიძე**

**დაბრუნება**



# ოფიციალურად: ბენიტესი „რეალს“ გაწვრთნის

**მადრიდის „რეალის“ ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, რაფაელ ბენიტესი „სამეფო გუნდს“ მომდევნო სამი სეზონის განმავლობაში გაწვრთნის. შეგახსენებთ, რომ იგი 1992-93 წლების სეზონში უკვე იყო აქაურთა თავკაცის ასისტენტი.**

ესპანელი სპეციალისტის წარდგენა გუშინ „რეალის“ საპრესკონფერენციო დარბაზში მოხდა და როგორც კლუბის ხელმძღვანელობამ, ასევე ახალმა მესაჭემ ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხეს.

**ბადრი იაშვილი**

**ჭადრაკი**

# ნინო ბაციაშვილის სწრაფი „ბრინჯაო“



**ამას წინათ ჩაქვში დამთავრებულ მოჭადრაკე ქალთა ევროპის 2015 წლის ჩემპიონატში ქართველმა დიდოსტატმა ნინო ბაციაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. ჩვენებურმა კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია — ამჯერად ქუთაისში, სადაც 10 ქვეყნის 50 წარმომადგენელი სწრაფ ჭადრაკში შვეიცარიული სიტემით 11 ტურად ეცილებოდა ერთმანეთს ევროპის ჩემპიონატის მედლებს.** 10 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად მსოფლიოსა და ევროპის ექსჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) მეწინავეობდა. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა ორგზის ევროპის ჩემპიონი ვალენტინა გუნინა (რუსეთი), რომელსაც ჩაქვში ევროპის ჩემპიონატში არ უასპარეზია. თანამემამულისთვის მხოლოდ მას შეეძლო გაეწია კონკურენცია, რადგან ევროპის წლევანდელი ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა (უკრაინა), ვიცე-ჩემპიონი ნინო ბაციაშვილი და მსოფლიოსა და ევროპის ექსჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 7-7 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს იყოფდნენ და ოქროს ვერ შესწვდებოდნენ. ბოლო ტურში ბაციაშვილმა კოსტენიუკს აჯობა, ჟუკოვამ გუნინა დაამარცხა, ხოლო სტეფანოვა და სალომე მელია დაზავდნენ. ამდენად, 8.5 ქულით სწრაფ ჭადრაკში ევროპის 2015 წლის ჩემპიონი გახდა ალექსანდრა კოსტენიუკი. 8 ქულით ვერცხლის მედალი გუნინამ დაიმსახურა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მესამე ადგილი ბაციაშვილმა დაიკავა. ჟუკოვა მე-4 ადგილზე გავიდა.

**ლაშა დიდია**

**წყალბურთი**




# ქართველები შესარჩევს ისრაელში ითამაშებენ

**საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობს. პირველ რაუნდში ჩვენმა ბიჭებმა შინ შვეიცარიას (21:9) და პორტუგალიას (21:3) მოუგეს, ხოლო სლოვაკეთთან 10:11 დამარცხდნენ.** მეორე რაუნდი 25-27 სექტემბერს მოეწყობა. ბარსელონაში გამართული წილისყრის შემდეგ კონტინენტის პირველობის 8 საგზურისთვის მებრძოლი 16 გუნდი 4 ჯგუფში გადანაწილდა. გაუწყებთ შედეგებს (ფრჩხილებში პირველ ეტაპზე მოპოვებული ქულებია ნაჩვენები):

**E ჯგუფი** (ისრაელი). ჰოლანდია (9), საქართველო (6), ისრაელი (3), ლიტვა (0),

**F ჯგუფი** (საფრანგეთი). სლოვაკეთი (9), საფრანგეთი (6), ბელარუსი (3), უკრაინა (0),

**G ჯგუფი** (მალტა). გერმანია (9), პოლონეთი (6), მალტა (3), შვეიცარია (0),

**H ჯგუფი** (რუსეთი). რუსეთი (9), თურქეთი (6), პორტუგალია (3), ლატვია (0).

ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები ფინალურ ეტაპზე გამოსვლის უფლებას მიიღებენ. გადამწყვეტ პაექრობებს გაისად იანვარში სერბეთის დედაქალაქი ბელგრადი უმასპინძლებს. მედლებისთვის 16 გუნდი იბრძოლებს. რვა ფინალისტის ვინაობა უკვე ცნობილია — 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ოქტეტი: სერბეთი, უნგრეთი, იტალია, ჩერნოგორია, ხორვატეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, რუმინეთი. დანარჩენ რვა საგზურს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 16 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებიან ერთმანეთს. შესარჩევი ეტაპისთვის უკეთ მოსამზადებლად ჩვენი გუნდი 7-11 ივნისს მოსკოვში რუსეთისა და ესპანეთის გუნდებთან გაივლის საწვრთნელ შეკრებას და ამხანაგურ მატჩებსაც გამართავს, 12-14 ივნისს ყაზანის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს, სადაც რუსეთს, ჩინეთსა და ესპანეთს დაუპირისპირდება, 15-21 ივნისს კი სლოვაკეთს მიაშურებს საწვრთნელი შეკრებისა და ადგილობრივ გუნდებთან ტესტმატჩების გასამართავად.

**ლექსო ცინცაძე**

**ჩოგბურთი**

# ნოვაკ ჯოკოვიჩი: პარიზში საჩემპიონო ტიტულის მოსაგებად ჩამოვედი

**რაფა ნადალის დამარცხების შემდეგ ნოვაკ ჯოკოვიჩი 26-ედ გავიდა სადიდსლემო ტურნირების ნახევარფინალში და ამ მონაცემით „ღია ეპოქის“ მოთამაშეთა შორის მეოთხე ადგილზეა. დიდი სლემის შეჯიბრებათა 17-გზის ჩემპიონი როჯერ ფედერერი ამ ტურნირების ნახევარფინალში 36-ჯერაა გასული. ამერიკელ ჯიმი კონორსს 31 სანახევარფინალე შეხვედრა დაუგროვდა, ჩეხი ივან ლენდლის აქტივში კი 28 ნახევარფინალია. საფრანგეთის ღია პირველობის მეოთხედფინალში ნადალის ძლევის შემდეგ ჯოკოვიჩი ჟურნალისტებს გაესაუბრა.**

**— როგორი ემოციით შეხვდით „როლან გაროსის“ ცხრაგზის ტრიუმფატორ ნადალთან დაპირისპირებას?**

— რაფას წინააღმდეგ საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე თამაში ყოველთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ტაქტიკურად, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად საუკეთესო ფორმაში უნდა იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში უპირობოდ დამარცხდები. ამჯერად ასპარეზობა ჩემთვის მეტად იღბლიანი გამოდგა. უდიდესი მოგება ვიზეიმე და ეს მეოთხედფინალი არასდროს დამავიწყდება. მესამე სეტში 5:1-ს ვიგებდი. ამის მიუხედავად, მაშინაც კი არ მოვდუნებულვარ. ნადალს ხომ ნებისმიერ მომენტში შეეძლო „თამაშში დაბრუნება“. რაფამ პირველ სეტში 0:4-ზე ამის დამტკიცება მოახერხა.



**— ნადალის სამომავლო პერსპექტივას როგორ შეაფასებთ?**

— რაფას უდიდეს პატივს ვცემ. ჩემი აზრით, მიმდინარე სეზონში იგი ძველებურ სათამაშო კონდიციას და ფორმას ვერ დაუბრუნდება. თუმცა, ნადალი 29 წლისაა და დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ კვლავ მძლავრ ნადალს ვიხილავთ.

**— წლეულს პარიზს რა მიზნით ეწვიეთ?**

— კარიერის განმავლობაში ამჟამად საუკეთესო ფორმაში ვარ და საფრანგეთის დედაქალაქში ტიტულის მოსაგებად ჩამოვედი. ჩემ პოზიტიურ განწყობას ოჯახსა და კორტზე წარმატებები განაპირობებენ. ამჯერად ჩემი ფიქრი ნახევარფინალურ პაექრობას დასტრიალებს.

**— ენდი მარეისთან ურთიერთშეხვედრების ანგარიში 18:8-აა თქვენ სასარგებლოდ, ამასთან შოტლანდიელს წლეულს სამჯერ შეხვდით და სამივეჯერ დაამარცხეთ...**

— სტატისტიკა სტატისტიკად, მაგრამ მარეისთან იოლი მატჩი ნაღდად არ მელის. ვაფასებ მოწინააღმდეგეს, თუმცა, გავიმეორებ — პარიზში საჩემპიონო ტიტულის დასასაკუთრებლად ჩამოვედი. ნახევარფინალს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში შევხვდები.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ინტერნეტიდან**

# პაულას ლუისი ეზმანება

**იდგა 2008 წელი და მაშინ, როდესაც საქართველოში რუსის ჯარი დააბოტებდა, ურუგვაიში მის ურუგვაის კონკურსი დიდი ზარ-ზეიმით იმართებოდა და ურუგვაელთა მიწაზე მოგოგმანე ულამაზეს ასულთა შორის საუკეთესო პაულა დიას გალიონე მის ურუგვაის წოდებას ირგებდა და თავზე გვირგვინს იხურავდა.**

ამის შემდეგ აგერ 7 წელი გავიდა და დღეს სენიორიტა პაულა დიას გალიონე უკვე მთელს ლათინოამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული მოდელია. პაულამ სახელი სულის ამაკანკალებელი ფოტოგადაღებებითაც გაითქვა და ამ ქალზე აუგის მთქმელს კუპრი და სატანჯველი ელის.

პაულა დიას გალიონე თავის მხრივ ცნობილ ურუგვაელ ფეხბურთელზე ლუის სუარესზე ყოფილა გულშევარდნილი. უფრო მეტიც — პაულა ყოველგვარი წინაპირობების გარეშე მზადაა კბილებლრჭენია ლუისს იქ დანებდეს, სადაც ეს უკანასკნელი მოინდომებს. არადა, თუკი ამ ქალის არსს ჩავუღრმავდებით, როგორ გინდა რომ არ მოინდომო?

**როსტომ რაჭველიშვილი**



## ტანსაცმლის წარმოება დღეს

**ევროვნული ვალუტის გაუფასურებამ სავაჭრო ობიექტებს დიდი თავსატეხი გაუჩინა. დოლარის კურსის აწევამ მაღაზიებისთვის ქირის გაზრდა განაპირობა, რის გამოც ტანსაცმლის ბევრმა სავაჭრო ობიექტმა არსებობა შეწყვიტა. ამჯერად თქვენს ყურადღებას საქართველოში ტანსაცმლის წარმოებაზე შევაჩერებთ.**

ქართველებს კარგად ჩაცმა რომ უყვართ, ეს ნამდვილად არ არის ახალი ამბავი. მუდმივად მიიჩნეოდა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში საუკეთესო გემოვნებით სწორედ ჩვენი ერის წარმომადგენლები გამოირჩეოდნენ.

2012 წლის მონაცემებით, საქართველოში მთლიანობაში 200-მდე სამკერვალო ფაბრიკა არსებობს. მათი 95% მცირე და მიკრო საწარმოებია: მაგალითად, ატელიეების ტიპის მცირე წარმოებები. თბილისში მდებარეობს 15-მდე მსხვილი ( თითო საწარმოში დასაქმებულია 100-დან 500-მდე ადამიანი) და საშუალო საწარმო (თითო საწარმოში დასაქმებულია 40-დან 100-მდე პიროვნება). ამ საწარმოების 90% ქართული ინვესტიციებით არის შექმნილი და ძირითადად ტანსაცმელს სამი ტიპის სეგმენტისთვის აწარმოებენ. ყველაზე მსხვილი სახელმწიფო ორგანიზაციების და კერძო სექტორის სეგმენტია: მათთვის ძირითადად სასტუმროების, რესტორნების, საწვავის იმპორტიორების, პოლიციის, ჯარის, სახელმწიფო დაცვის პერსონალისთვის განკუთვნილი უნიფორმები იკერება.

ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე საქართველოში შეკერილი ტანსაცმლის ძირითადი გაყიდვების არეალი ე.წ ლილოს და ვაგზლის ბაზრობებია. თუმცა, საქართველოში დამზადებული საერთაშორისო ბრენდები ექსპორტზე გადის. ბოლო დროს მათი ნაწილი ადგილობრივ ბაზარზეც გამოჩნდა, მათ შორის, სპეციალურ მაღაზიებსა და დიდ სუპერმარკეტებში.

ადგილობრივ ბაზარზე ქართული წარმოების ტანსაცმლის ფასი, როგორც წესი, ორნიშნა რიცხვს არ ცდება. დღეს საქართველოში ყველაზე მეტი რაოდენობით მაისურები, შარვლები, პერანგები, ჯინსის შარვლები, ქურთუკები და პალტოები იკერება. საერთაშორისო ბრენდების ძირითადი საექსპორტო ბაზრები კი თურქეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია და უკრაინაა.

ალსანიშნავია, რომ უცხოური ბრენდების წარმოების საშუალოდ 95%-ზე მეტი ექსპორტზე რეგიონებიდან გადის. ქუთაისში და ტყიბულში სამი საწარმო მდებარეობს. აქედან ერთი თურქული ინვესტიციით არის შექმნილი. რაც შეეხება აჭარას, აქ ხუთი მსხვილი ფაბრიკა ფუნქციონირებს, სადაც შემდეგი ბრენდების სამოსი იკერება: „პუმა“, „ლოტო“, „ზარა“, „მარკ სპენსერი“, „კოტონი“ და ასე შემდეგ. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული კომპანიები საქართველოში წელიწადში ორჯერ გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს, რომლებიც საწარმოო პროცესს აკვირდებიან.

რაც მსოფლიო ბრენდებს საქართველოში იზიდავს, პროდუქციის დაბალი თვითღირებულება, დაბალი გადასახადები და მარტივი ბიუროკრატიული პროცედურებია. ამას ემატება ევროკავშირთან „ჯი-ეს-პი პლუსის“ სისტემა. გარდა ამისა, საქართველოს ექსპორტისთვის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, მათ შორის, გზები და პორტები განვითარებულია. ძირითად საექსპორტო ბაზრებთან შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმებით სარგებლობს: თურქეთთან და დსთ-ს ქვეყნებთან — თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება; ევროკავშირთან, აშშ-სთან, კანადასთან, ნორვეგიასთან, შვეიცარიასა და იაპონიასთან — GSP+ პრეფერენციების სისტემა. თავისუფალი საგადასახადო რეჟიმები ადგილობრივ ბაზარზეც მოქმედებს: საქართველოში არსებობს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, სადაც მწარმოებლები მოგების და სხვა გადასახადებისგან თავისუფლდებიან. ამასთან, თუ ბიზნესი მხოლოდ ექსპორტზეა ორიენტირებული, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, იმპორტირებულ და ექსპორტირებულ საქონელზე დღგ-ს გადასახადს არ იხდის. საბაჟო პროცედურები, სხვა ქვეყნებთან შედარებით, მარტივია. მუშახელი იაფია, ხოლო წარმოების ხარჯი — დაბალი.

### ცნობილი ბრენდები, რომლებიც აქ იკერება

**უცხოური ბრენდების წარმოების საშუალოდ 95%-ზე მეტი ექსპორტზე რეგიონებიდან გადის**




ალბათ ამ მიზეზებს უკავშირდება ის ფაქტიც, რომ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე, იტალიის ნაკრებმა საქართველოში შეკერილი მაისურებით ითამაშა. მაშინ ქართულენოვან სოციალურ ქსელებში გავრცელდა იტალიის ეროვნული ნაკრების მაისურის ფოტო. ფოტოზე „პუმის“ ბრენდის ლოგოტიპის ქვევით ამოტვიფრული იყო წარწერა „დამზადებულია საქართველოში“. ბევრს ეს ფოტომონტაჟი ეგონა, ბევრი კი ამტკიცებდა, რომ იტალიის ეროვნული ნაკრების მაისურები საქართველოში დამზადდა. ცნობისთვის, ევროპის ჩემპიონატის მესამე დღის შეხვედრაში ესპანეთის წინააღმდეგ იტალიის ეროვნულ ნაკრებს „აჭარა ტექსტილში“ შეკერილი ფორმები ეცვა. იტალიის ნაკრებისთვის 200 ათასი მაისური შეიკერა და ნაკრებმა მთელი სეზონი აჭარაში შეკერილი ფორმებით გაატარა.

აჭარულ საწარმოებზე არანაკლებ პოპულარულია ქუთაისში მდებარე ორი სამკერვალო ფაბრიკა. სააქციო საზოგადოება „იმერს“ ქართველი მფლობელები ჰყავს და ისინი ძირითადად ქალის ტანსაცმელს კერავენ. შპს „ჯორჯიან ტექსტილი“ კი თურქეთის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული საწარმოა, რომელიც ტანსაცმლის თურქულ მაღაზიათა ქსელს „ლს ვაიკიკის“ ამარაგებს.

სააქციო საზოგადოება „იმერი“ გასული საუკუნის 20-იან წლებში აშენდა. საწარმომ საბჭოთა კავშირის ნგრევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი ათწლეულის რთულ პერიოდს დიდი ძალისხმევის შედეგად გაუძლო. „იმერმა“, ძველი საწარმოო რესურსების მეშვეობით, ინვესტიციების გარეშე შეძლო უცხოური კომპანიის ყურადღების დამსახურება ჯერ კიდევ 1995 წელს. ეს ის პერიოდია, როდესაც სამკერვალო საწარმოებმა ევროპიდან აზიისკენ გადასვლა იწყეს.

**მარი მელიქიშვილი**

**რეკლამა** მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87; 568 82-09-84.

**ვილენ მარდალეიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა მძახალი, აფხაზეთიდან დევნილი შესანიშნავი ქართველი, 8 შვილის ღირსეული მამა**

**ომარ ჭაბუკიანი**

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

**ძმა გოგი, ძმისწულები გიორგი, ნინო შაფათავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ნონა**

**სალია-შაფათავა**

**პანაშვიდი: 5, 6 VI. დაკრძალვა 7 VI, 15 სთ. მისამართი: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქუჩა №17.**

## ინფორმაცია

### დედაქალაქში წყლის ხარისხს ამოწმებენ

**როგორც კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“ განაცხადეს, შესაბამისი სამსახურები იმ უბნებში გავიდნენ, სადაც წყლის ხარისხის შესახებ შეტყობინება მიიღეს.**

**დედაქალაქის რამდენიმე უბანში გუშინ დილიდან შესამჩნევად მღვრიე წყალი მოდიოდა, რაც შესაძლოა, ძლიერ წვიმას უკავშირდებოდეს.**

## განცხადება

2015 წლის 27 ივლისს 14 საათზე ქ. თბილისში იუმაშევის ქ. №13-ში გაიმართება შპს „ამტ-98“-ის (ს/კ 208188325) კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. №13) 2800მ³ მოცულობის ნავთობბაზის მშენებლობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს მითითებულ ტერიტორიაზე 2800მ³ ნავთობბაზის მშენებლობა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. №13.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: მალხაზ ბარამიძე, მობ: 574 07 32 77

**შპს „ამტ-98“-ის ადმინისტრაცია**

## გაითვალისწინეთ!

# აქტიური პროცესები ივნისში

**გეოფიზიკური აქტივობის დღეები მოსალოდნელია 1,2, 5, 9, 11, 15, 16, 20, 23, 24 და 29 ივნისს. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და ქარიშხლების წარმოშობა, ყველა სახის ავარიების მატება, სეისმური აქტივობისა და სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება.**

**5 — თხის რქის თანავარსკვლავედში მთვარისა და პლუტონის შეერთება**. შესაძლოა ფიზიკური სისუსტე, ემოციური ტონუსის დაქვეითება, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის მოჭარბებული შეგრძნება. ასევე გამორიცხული არ არის კანის, ძვლებისა და სახსრების სნეულებათა გამძაფრება, ხერხემლისა და თავის ტკივილი. პრობლემები შეიძლება წარმოიშვას შარდდენის ორგანოებში, მოსალოდნელია ენდოკრინული აშლილობები. სასარგებლოა გაკაჟების, გაჯანსაღების, კანის მოვლის პროცედურები. რეკომენდებული არ არის სიმძიმეების აწევა, ინტენსიური ფიზიკური ვარჯიში, მუხლებისა და ხერხემლის დაძაბვა. ასევე უნდა ერიდოთ სიცივეს.

**9 — თხის რქის თანავარსკვლავედში მთვარისა და პლუტონის შეერთება, მთვარის ბოლო მეოთხედი**. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა. სავსებით სავარაუდოა არაადეკვატური რეაქციები, დაბნეულობა, უყურადღებობა, სამკურნალო პრეპარატებისა და ალკოჰოლისადმი მოჭარბებული მგრძნობიარობა. სასურველია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე უარის თქმა, თვალებისა და ფეხების ტრავმატიზმის გაფრთხილება, კონფლიქტებისთვის თავის არიდება.

**11 — ვერძის თანავარსკვლავედში მთვარისა და ურანის შეერთება**. მოსალოდნელია ჭარბი ნევროზულობა, მოუსვენრობა, კონფლიქტურობა. შესაძლოა, შეგაწუხოთ თავის ტკივილებმა, თვალის, კბილების, სმენის ორგანოთა სნეულებებმა. ავადმყოფობის მიზეზი შეიძლება გახდეს ზედმეტი ფიზიკური და ემოციური დატვირთვა. სასურველია, უარი თქვათ აღმგზნებ საშუალებებზე — ყავაზე, შოკოლადზე, ალკოჰოლზე. დაიცავით უსაფრთხოების ტექნიკა, სვით მეტი სუფთა წყალი, მოერიდეთ ცეცხლს, დაიცავით ძილისა და დასვენების რეჟიმი. ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა უმჯობესია, შემდეგი დღისთვის გადადოთ. სასარგებლოა გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, სამკურნალო ტანვარჯიში, გასეირნება სუფთა ჰაერზე.

**15 — ტყუპების თანავარსკვლავედში მთვარისა და მერკურის შეერთება**. გამორიცხული არ არის ხელებსა და მხრებში ნევრალგიური და რევმატული ტკივილები, ფილტვებისა და ბრონქების დაავადებები. სიფრთხილე უნდა დაიცვან ასთმითა და ალერგიით დაავადებულებმა. ყურადღებით ყოფნაა საჭირო ტრანსპორტით მოგზაურობისა და საბუთებთან მუშაობის დროს. უნდა მოერიდოთ გადაღლას, სტრესებსა და სიმძიმეების აწევას. სასარგებლოა სუნთქვითი ტანვარჯიში, წყლის პროცედურები და სუფთა ჰაერზე სეირნობა.

**16 — ტყუპების თანავარსკვლავედში მთვარისა და მარსის შეერთება. ახალმთვარეობა**. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა, ასევე ფილტვებსა და ბრონქებში მწვავე ანთებითი პროცესების გამძაფრება, ხელების ტრავმები და გამონაყარი კანზე. არასასურველია აცრებისა და ოპერაციების გაკეთება. უმჯობესია, მშვიდად იყოთ, მსუბუქად იკვებოთ და უარი თქვათ ალკოჰოლზე. ესაა აქტიური დასვენებისთვის, ახლობლებთან ურთიერთობისა და საქმიან მოლაპარაკებათა გამართვისთვის ხელსაყრელი დრო.



**20 — ლომის თანავარსკვლავედში მთვარის ვენერასთან და იუპიტერთან შეერთება**. შესაძლოა, გაგიჩნდეთ თვითდაჯერებულობის შეგრძნება, საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნის, შექებისა და ქათინაურების მიღების სურვილი. გამორიცხული არ არის გულთან, გულის სისხლძარღვთა სისტემასთან, ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემების, ხერხემალში ტკივილების წარმოშობა. გაძლიერდება ალკოჰოლის მოქმედება, მოიმატებს საკვებით მოწამვლის საფრთხე. რეკომენდებულია დიეტის დაცვა, ალკოჰოლზე უარის თქმა. ნუ გადაიღლებით, ნუ ინერვიულებთ და ნურც სიმძიმეებს ასწევთ. სასარგებლოა ფიზიკური ვარჯიში, ჰაერის აბაზანები, სუფთა ჰაერზე სეირნობა და გამოძინება. გასათვალისწინებელია, რომ არსებობს დიდი ხარჯის გაწევის საფრთხე.

**24 — მთვარის პირველი მეოთხედი**. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა. გაიზრდება მგრძნობიარობა, ეჭვიანობა, მოიმატებს გაღიზიანება, ასევე ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრების ალბათობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ გულის, გულის სისხლძარღვთა მუშაობას, ხერხემლის მდგომარეობას, გააკონტროლეთ არტერიული წნევა. უმჯობესია, უარი თქვათ ცხიმიან, მძიმე საკვებზე, დაიცვათ დასვენების რეჟიმი, მოერიდეთ ფიზიკურ და ემოციურ გადაღლას. მომატებული ენერგეტიკა შესაძლოა უსიამოვნებებისა და კონფლიქტების მიზეზი გახდეს, ამდენად ურთიერთობათა გარკვევა უმჯობესია, სხვა დროისთვის გადადოთ.

**29 — მორიელის თანავარსკვლავედში მთვარისა და სატურნის შეერთება**. მოიმატებს აღგზნებადობა, ემოციურობა და ეჭვიანობა. გამორიცხული არ არის სახსრების სნეულებათა და ოსტეოქონდროზის გამწვავება. მოერიდეთ ცხიმიან და ცხარე საკვებს, ალკოჰოლს, გაციებას, ნუ ასწევთ სიმძიმეებს. მაღალი ტრავმატიზმის, მოტეხილობების ალბათობა, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ ხელმძღვანელობასთან, ანდა ოჯახის უფროს წევრებთან. არ არის რეკომენდებული ახალი საქმეების წამოწყება.

სულიერება

# ღირსი დამიანე, ყოფილი მეფე დემეტრე I, „შენ ხარ ვენახის" ავტორი



5 ივნისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს საქართველოს მეფეს (1125-1156 წ.წ.-ში) დემეტრე I.

... დემეტრე, დავით აღმაშენებლის ძე, მამის გარდაცვალების შემდეგ მხნედ შეუდგა საქართველოს საზღვრების დაცვას. მისი მეფობის დროს აღორძინდა ჰერეთი, სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი, არტაანი და ტაო, რომელნიც მას შემდეგ, რაც დავითმა თბილისი აიღო და ჰერეთ-კახეთი შემოიერთა, თითქმის უკაცრიელი იყო. დავითგარეჯის უდაბნოში ბერად აღკვეცილმა მეფემ შთამომავლობას ჰიმნოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშები დაუტოვა.

ჩვენამდე მოღწეული იამბიკოებიდან განსაკუთრებით ცნობილია შესხმა ღვთისმშობელისა –„შენ ხარ ვენახი, აყვავებული, მორჩი კეთილი, ედემსა დანერგული, ალვა სუნნელი, სამოთხეს აღმოსული, ღმერთმან შეგამკო, ვერვინა გჯობს ქებული, თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული".

ღრმა, სულიერებისა და მტკიცე ქრისტიანული რწმენის მქონე დემეტრე-დამიანემ დაასრულა და აკურთხა დიდი დავითის დაწყებული გელათის ტაძარი.

**გიული ლიპარტია**

SIC!

# კიბოს მაუწყებელი 10 ადრეული სიმპტომი



**არსებობს ორგანიზმში კიბოს განვითარების მაუწყებელი ადრეული სიგნალები, რომლებზეც მოსახლეობის მხოლოდ 2% რეაგირებს სათანადოდ. დანარჩენი 98% მათ უგულებელყოფს. სპეციალისტები ამ სიმპტომებს საგანგაშოს უწოდებენ, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ მათ შესახებ.**

## მუდმივი ხველა

პერიოდული ხველა საგანგაშო ნამდვილად არ არის, მაგრამ თუ ის სამ თვეზე მეტია გრძელდება და თან სდევს სისხლიანი გამონადენი, ეს საკმაო საფუძველია იმისთვის, რომ სპეციალისტთან წაბრძანდეთ. ამ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ბრონქებისა და ფილტვის კიბო, რისთვისაც რეკომენდებულია გულმკერდის ღრუს რენტგენული კვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია და, საჭიროებისამებრ, ბრონქოსკოპია.

## დეფეკაციის მოშლა

თუ დეფეკაციის პროცესი გართულდა ან განავლოვანი მასები ჩვეულებრივზე გაცილებით მსხვილია, ეს მსხვილი ნაწლავის დაავადებაზე მიუთითებს. მიზეზი შესაძლოა, იყოს წარმონაქმნები, რომლებიც ართულებს ნაწლავში განავლოვანი მასების გავლას. ასეთ დროს რეკომენდებულია კოლონოსკოპიის ჩატარება.

## შარდვის ცვლილება

თუ შარდში სისხლს ამჩნევთ, ეს შარდის ბუშტის ან თირკმლების დაზიანების შედეგია. შესაძლოა, ინფექციურ პროცესზეც მიანიშნებდეს. აუცილებელია, თავდაპირველად გამოირიცხოს ინფექცია, ხოლო შემდგომ დამატებითი დიაგნოსტიკისთვის მიმართოთ უროლოგს ან ნეფროლოგს.

## დაუდგენელი წარმოშობის მუდმივი ტკივილი

საგანგაშო სიმპტომია თავის, მუცლისა და გულმკერდის ღრუს სუსტი, მაგრამ მუდმივი დაუდგენელი წარმოშობის ტკივილიც. ამ დროს აუცილებელია გამოირიცხოს თავის ტვინის, ფილტვების, ნაწლავებისა და საკვერცხეების სიმსივნური პათოლოგიები.

## ხალის ცვლილება

ხალი ყოველთვის მელანომასთან როდი ასოცირდება, თუმცა, უკვე არსებულის ფორმის, ზომისა და შესახედაობის ცვლილებისას აუცილებლად უნდა მიმართოთ დერმატოლოგს.

## ხანგრძლივად შეუხორცებელი ჭრილობა

თუ ჭრილობა არ შეხორცდა 3 კვირაზე მეტხანს, ეს რეგენერაციული პროცესების დარღვევაზე მიუთითებს. ამ დროსაც ექიმს უნდა მიმართოთ.

## დაუდგენელი სისხლდენები

ვაგინალური სისხლდენა, რომელიც არ უკავშირდება მენსტრუალურ ციკლს, შესაძლოა საშვილოსნოს დაზიანების შედეგი იყოს, სწორი ნაწლავიდან სისხლდენა კი მსხვილი და სწორი ნაწლავის დაზიანებაზე მიუთითებს. ეს ის სიმპტომებია, რომელთა უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება.

## კანქვეშა სიმკვრივეები

სიმკვრივე და ქსოვილოვანი წარმონაქმნი კანქვეშ ყოველთვის ავთვისებიანი არ არის – ეს შესაძლოა, სრულიად უვნებელი ცისტაც იყოს, მაგრამ ასეთი რამის შემჩნევისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, მეტადრე - თუ წარმონაქმნი სარძევე ჯირკვალშია.

## წონის უმიზეზო კლება

წონის დაკლებას ბევრი ცდილობს, მაგრამ, თუ ეს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ხდება, სამედიცინო დახმარებაა საჭირო, რადგან მიზეზი შესაძლოა, სიმსივნური წარმონაქმნი იყოს.

## ყლაპვის გაძნელება

ამ სიმპტომის მიღმა შესაძლოა, იმალებოდეს ორი ტიპის სიმსივნე – საყლაპავისა და ხორხისა. ასეთ დროს ადამიანები გამოსავალს დიეტის დაცვასა და რბილი კონსისტენციის საკვებზე გადასვლაში ხედავენ, ნაცვლად იმისა, რომ მიზეზის დასადგენად ლარინგოლოგს მიმართონ.

**განცხადება**

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის" ტერიტორიაზე სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

**რეკლამა**
**293-37-87;**
**568 82-09-84.**

**ყურადღება!**

**იყიდება დიდ დიღომში „იმედის" კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. 1 კვ.მ. – 120$, ორ ნაწილად გაყოფისას – ფასი შეთანხმებით. ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

**იყიდება**

დედოფლისწყაროში ორსართულიანი წითელი აგურით ნაშენი, თუნუქით დახურული სახლი ეზოთი. 12 ოთახი, სველი წერტილებით, სათავსოებით, ბუხრებით, თანამედროვე რემონტით. ხეხილით გაშენებული ეზოს საერთო ფართი 9 ათას კვ. მ. შესანიშნავი ხედით. ბუნებრივი აირი და წყალი მუდმივად. ოთახების განლაგება საშუალებას იძლევა სახლი გადაკეთდეს სასტუმროდ. ფასი შეთანხმებით.
ტელ. 223296. 599 357 697. 514 333 324.

კადრი




ცინცხალი ანეკდოტები

**– სარა, მოდი, განვქორწინდეთ, მეტის ატანა არ შემიძლია! – ეუბნება მოშე ცოლს.**
**– არა, ჩემო კარგო, როცა შემირთე, ქვრივი ვიყავი და ქვრივადვე დამტოვე...**

* * *

**– უკვე გეძინა ჩვენს ახალ პირად მდივან ქალთან?**
**– ჯერ არა. შენ?**
**– წუხელ ფანტასტიკური სექსი გვქონდა. საწოლში ჩემს ცოლზე ბევრად უკეთესია.**
**ერთი კვირის შემდეგ...**



**– როგორც იქნა, წუხელ შევითრიე საწოლში ის სულელი. სექსს თითქოს არა უშავდა რა, მაგრამ შენს ცოლზე უკეთესი ნამდვილად არ არის...**

* * *

**– რა ვქნა, კაცო, ვერაფრით ვერ ვიხსენებ, რას დავპირდი ცოლს, ორ კახა ლუდს დავლევ და ცხრა საათზე დავბრუნდებიმეთქი, თუ ცხრა კათხას დავცლი და ორ საათზე მოვალ-მეთქი.**

* * *

**– ძვირფასო, რა უფრო მოგწონს ჩემში, ჩემი მშვენიერი ტანი თუ ლამაზი სახე?**
**–შენი იუმორის გრძნობა!**

* * *

**– მამი, გველები როგორ ლაპარაკობენ? – ეკითხება პატარა მიხო მამას.**
**– რად დუმხართ? ვერ ხედავთ, რომ შვილიშვილს აინტერესებს? – გადახედა სიძემ სიდედრს.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24